

საქართველოს  
საზოგადოებრივი

# საქართველო



ივლინი და აგვისტო 1903



ყურნალ „ჯეჯილისა“

I	მეფის ეაფი—გ. წყაღტუბელისა . . . . .	3
II	დილა სოფელში ლექსი—შ. მღვანელისა . . . . .	6
III	მეურმე და საქონელი იგაფი—აღ. შიჩინაშვილისა . . . . .	10
IV	მელია და კატა ზღაპარი გრიმისა. თარგმანი—ბ. გელა- ზანასი . . . . .	11
V	თაედები. ისტორიული მოთხრობა თარგ.—ბაბი და ღა... .	13
VI	ობობა. ოლივერ ვოლდსმიტიდან. თარგ.—გიგო შატბე- რასვილისა . . . . .	18
VII	მეჩქმე. იგაფი. —აღ. შიჩინაშვილისა . . . . .	23
VIII	ოქროს კვერცხის მდებელი ქათამი (თარგ.)—ეკ. მესხისა	25
IX	ბაეშის აღერსი. თარგმანი—მარია დემურაძისა . . . . .	37
X	ლამის თევა ლექსი—ჯაჯისა . . . . .	42
XI	ირას მთის მელია (ფრანგულიდან) . . . . .	44
XII	არახნა. (ოვიდიუსიდან)—ა. ყუშისთაველისა . . . . .	50
XIII	ინგლისის პოეტი გიორგი კრაბი. (რუსულიდან)—ან. წერეთლისა. . . . .	53
XIV	ძველი ისტორია ერნესტ ლაფისისა, (საშუალო საუკუ- ნე) თარგმანი—ნ. შენგელისა . . . . .	65
XV	წერილმანი: ანდაზები, გამოცანები, არითმეტიკული გამო- ცანა, შარადა, უჯრების ამოცანა, რებუსი და სხვა . . . . .	76



თანახმათ მათი ყოველად უსამღვდელოესობის სა-  
ქართველოვს ეგზარხოსის დამტკიცებისა, თფილისის სა-  
ეპარქია რჩევამ, 17 ოქტომბერს, 1897 წ. გადა-  
წყვიტა ქართული საყმაწვილო ყურნალი „ჯეჯილი“  
საქართველოვს ეპარქიის სამრევლო სკოლებში მიღე-  
ბული იქმნას სახმარებლათ.



217  
ქართული  
ბიბლიოთეკა



საქმეაწვილ ო. ნახატებიანი

ქურონალი

იზარდი, მკვანე ჭივილო,  
დაბურდი, გასდი უნაო!..  
ო. დ.

№ VII—VIII

წალიწადი მეთოთხებთა

ბფილისი

სტამბა ტ. შ. რუტინანცისა, № 41 | Тип. Т. М. Ротинянца, Гол. пр. № 41  
1903



საქართველოს  
ხალხთა ბიბლიოთეკა



Добролено цензурою. Тифлисъ, 1-го Августа 1903 г.



## მეფის ვაჟი.

841



რთ დიდებულ მეფეს ჭეჳდა ერთათ ერთი ვაჟი. ამ ვაჟის აღსრდა მინდო მან მოსუკებულ ბრძენს. როცა უმაწვილმა შინ სწავლა დაამთავრა, მამამ გავსაუნა იგი სსა ქვეუნის მეფის სსასსლეში, რომ იქაური წესწუობილება გაცსო და უფრო მეტი სიბრძნე შეეძინა.

მართალია მეფის ვაჟს სრული უფლება ჭქონდა თავისუფლათ ეცსოვრა და ემოქმედა იქ, მაგრამ მეფემ უბრძანა შვილის უწინდელ მოსუკ აღმსრდელს ისიც წასულიყო ჩუმათ იმ ქვეუნაში და დაფარულათ თვალ-უური ეღვენებია ბატონიშვილის ეოფა-ქცევისთვის.

როცა მეფის ვაჟი მივიდა უცსო ქვეუნაში, სადაც მამამ სიბრძნის შესამენათ გაისტუმრა, იქ მან ნასა მეფის სსასსლეში მდიდრული ცსოვრება და ფუფუნება, ძრიელ

მოეწონა და თვითონაც მიჰყო სელი განცხრომით ცხოვრებას და ეოველ დღეს ქეიუში ატარებდა. სრულიად დაავიწედა, რისთვისაც გაგსაუნა იგი იქ მამამ: აღარც სწავლა, აღარც სიბრძნე.

მოსუც აღმსრდელს გული უკვდებოდა ბატონიშვილის ასეთი ქცევით და მოინდომა მისი გასწორება. ერთხელ, როცა მეუის ვაჟი თავისი ამალათი და თავ ქარინი მეგობრებით ერთ მძვენირ ბაღში დასვირნობდა, ანაზღათ წინ შეეყარა უწინდელი მოძღვარი, რომელსაც სელში ჯონი ეჭირა და სურგსე გუდა ჰქონდა წამოკიდებული.

მეუის ვაჟს ძრიელ გაუკვირდა და ჰკითხა:

— ეს რა ამბავია! სად მიდისარ?

— მეც არ ვიცი, უნასუნა მოსუცმა ბრძენმა.

— როგორ თუ არ იცი! შენი საუვარელი ქვეუნა მიგიტოვებია, გსა-დაბნეულივით დადისარ და ისიც არ იცი, საითა და რისთვის მიემურებია!

— მართალი ბრძანებაა: მე სრულებით დამავიწედა, სად უნდა წავსულიყავი, ჰემმარიტი გსაც დაკარგე და ასლა ვსეტიალობ უცნობ გსაზე, მაგრამ ჩემთვის ეს სულ ერთია.

— სად მიგიუვანს ძერე შენ, ასეთი უგნური სეტიალი?

— მე რა ვიცი, უნასუნა მოსუცმა.

მეუის ვაჟი ძრიელ დაღონდა, მიუბრუნდა თავისს მეგობრებს და უთხრა:


— ეს კაცი უწინდელი ჩემი მოძღვარი და საუვარელი

ბრძენი კაცი იყო, მაგრამ ახლა, როგორც ხედავთ, საბრძოლო ჭკუასე შეძლილს და უკხო-უკვლოთ დახეტება!

— მართლს ბრძანებთ, ბატონიძვილო, მოახსენა მოსუცმა, და მოიშორა სურვიდან გუდა. წინეთ მე ვიყავი შენი ხელმძღვანელი და მე და შენ ერთათ მივიღოდით სიბრძნის გზით, მაგრამ მას შემდეგ, რაც შენ სხვა გზას დაადექი და ცხოვრება გამოიცვალე, მეც შენ კვალს ჩაუდექი და ამიტომაც გეჩვენები უგუნურათ. შენ ძრიელ გიგვირის, რომ მე ასე ვხეუთალობ, არ ვიცი სად მივიღებარ და არც იმაზე ვფიქრობ, სად მიმიყვანს ასეთი ხეტიალი! შენ ფიქრობ, ვითომც, მე გონება დაკარგე, მაგრამ აბა ახლა კარგათ დაუფიქრდი შენს ეოფა-ქცევას და მიზასუსე, შენ-კი იცი სად მიგიყვანს ეგ შენი ქცევა?

მეფის ვაჟს თვალ-წინ წარმოუდგა თავისი მოქმედება და მართლაც მიხვდა აღმზრდელის სიტუეებს. ამას შემდეგ დაანება თავი განცხრომით ცხოვრებას და იწეო სწავლა, სიბრძნის შეძენა.

წყალტუბელი.



## დილა სოფელში.



ირაყრაყა. მტრედის ფერად  
 გადეფინა ცას ნათელი;  
 ნამისაგან დავერცხლილი  
 ოდნავ მოსჩანს მინდვრად ველი.

სოფელი ჯერ არ ხმაურობს,  
 თუმცა შეკრთა იქაც ძილი,  
 და თვალების ფშვინეტით იძვრის  
 მიწის მუშა, შრომის შვილი.

მაგრამ შეხეთ განთიადის  
 დაუზარელ მახარობელს,  
 რა სიამით, რა ცქრიალით  
 დასტრიალებს თავზედ სოფელს.

ხან ერთ ერდოს, ხან მეორეს  
 ჩატუქოლეებს, ჩასჭიკჭიკებს

და ძილს უფრთხობს ასადგომათ  
დღით მოქანცულ გოგო-ბიჭებს.

---

გაიღვიძეთ, ვერა ზედავთ  
გადაჭყრია ცას წყვდიადი,  
ბუნება მზეს ელოდება  
წინ მოუძღვის განთიადი...

---

მინდვრად შეხეთ ტოროლასა—  
რა ყოფა აქვს, რა ამბავი,  
არ იქნება უკეთესი  
სამზერი და სანახავი.

---

ყური უგდეთ ცის სივრცეში  
რა რიგ გალობს, რა რიგ ხარობს,  
მერცხალივით ლამის მებრის  
გაღვიძებას არც ის ზარობს.

---

მის წკრიალა ხმაზედ მინდვრად  
თითქმის ყველა აიშალა,  
აფათურდა კოლო, მწერი,  
ჭივჭავი და ლობე-მძვრალა.

---

დღის სინათლეს დაემალა  
 მხოლოდ მელა, ქურდი ტურა,  
 თვალ-აბმულმა ჭოტმა და ბუმ  
 ხის ფულტუროს მიაშურა.

სხვა-კი ყველა ხარობს ახლა  
 არვინ ხუჭავს განგებ თვალებს;  
 ბუღბუღოთა და შაშვთ გალობა  
 ახმატურებს ტყეს და ჭალებს.

ნეტავ ნახოთ მადლით სავსე  
 ქვეყნის მარჩენელი ყანა,  
 მისს უტურფესს, მის უამესს  
 თვალი ნახავს კიდევ განა!

ნიაფი ზედ დასისინებს,  
 მიდის-მოდის მეღვებური,  
 შრიალებს და იზნიქება,  
 ვით მომკალის ხეღვებური.

ნეტავი შენს გამჩენელსა,  
 ბუნებისა ძალთა ძალო,  
 სანამ მიდგას პირში სული  
 შენს მადლს თუნდა ვენაცვალო!..

ზარმაცო და მუქთა ხორა,  
 გვერდზე ნულარ გადაბრუნდი;  
 ნუ თუ შენს გულს არ ახარებს  
 ამოდენა ფრინველთ გუნდი!..

—  
 ადე, თვალი გადაავლე  
 სომინდის და ყანის ბიბინს,  
 გახურებულ მუშაობას  
 და მუშების მწარ-ტკბილ ღიღინს.

—  
 ნუ გასივდი, იწყე შრომა,  
 შენც ხელ-ფეხი გაანძრიე,  
 უარ კყავი სიზარმაცე,  
 მცონარობა დაკვამე, სძლიე.

შ. მღვიმელი.



## მეურვე და საქონელი.

ი გ ა ვ ი.



მეურვეს მინდვრიდან დატვირთული ურემი სოფლისკენ მიჰქონდა. გზაზე კოფაზე მჯდომს დაეძინა და ურემმა სიარულს საკმაოთ უკლო. როცა გაიღვიძა, მეურვემ, დაგვიანებული დროს მოსაგებათ, შებეძულ საქონელს უდიერი ცემა დაუწყო: კამბეზს რომ სასრეს დანარტყავდა ზურგზე გოჯის სიგანე სოლი აჩნდებოდა.


— მობილო, მაგრე ცამეტებით რომ სცემ საქონელს, რა დაგიძავეს, რას ერჩიო? ჰკითხა მეურვეს გამკლელმა.

— რაჟენა, ცოტა ჩამძინებია და დაგვიანებულვარო, მიუგო მეურვემ.

— ვისაც ჩასძინებია, დაგვიანებაც იმის ბრალია; ცემის ღირსი შენ ჰყოფილხარ და კამბეზებზე ტუილათ ვროლობ ჯავროსო, უსაუკედურა გამკლელმა.

მაგრამ მეურვემ უურიც არ შეიბერტა.

ალ. მირიანაშვილი.



## მელია და კატა.

(ზღაპარი გრიმისა)



ატამ ტეეში მელია დაინახა და იფიქრა: მელია ჭკვიანია, მოხერხებული, ნადირები მას დიდ ზატევს სცემენ, მოდი გამოველხაზარაკებო.

— გამარჯვება, დაიყო მელია! მიესალმა მელიას კატა ტკბილის სმით—როგორ გიკითხო? სომ ჯან-მთელათ ბძანდებით?

მელიამ თავი ამაუთ ზევით ასწია, კატას ჯერ ხმაჯარ კასცა, მერე ერთი ამაზრტავნულათ შესედა და უთხრა:

— აჰ, შე სულელო, თაგუების მჭირავ-ჩხავანა კატუნა! რამ გაფიქრებია ჩემთან ლაზარაკი? აბა რა მეცნიერება გისწავლია, შე სულელო, შენა?

— შე მხოლოთ ერთი მეცნიერება ვიცი. წენარათ მიუგო კატამ.

— რა მეცნიერება? აბა მითხარი! — ჰკითხა მელიამ ამაუთ.

— ჩემი მეცნიერება ასეთია — მიუგო კატამ: როცა ძაღლები დასაჭერათ მომდევნ, მაშინ სესე შევსტები და ისინი ველარას მავნებენ სოლმეო.

— ეჰ, საწყალო! უთხრა მელიამ, მე სომ ასნაირი მეც-



ნიერება ვიცი და ასწავრი კიდევ სხვა-და-სხვა სერს-ემმა-კობაც შემიძლიან—წამოდი მე შენ გასწავლი ძაღლების მოკერებასაო.

ამ დროს ტეეში მონადირე გამოჩნდა ოთხი ძაღლით. კატა მაშინვე სესე შესტა და ძაღლა კენწეროში, ფოთლებში მიიმალა.

მელიამ თავისს სერს-ემმაკობას მიჰმართა, მაგრამ ამაოთ, ძაღლებმა სტაცეს ჰირი და დაიჭირეს.

კატა-კი სევიდან უძახოდა: — ნათლი-დედ მელიავ! აკი ამბობდი, ასწავრი მეცნიერება ვიცი და ვერაუინ რას მიხამსო. შენ რომ ასის მაგივრათ ერთი მეცნიერება კარგათ კცოდნოდა, ესე იგი ჩემსავით სესე შესტომა, მაშინ ასე უდროოთ არ გამოეთხოვებოდი სიცოცხლესაო.

ბ. გელაზანია.

(თაგმანი)



თ ა ვ დ ე ბ ი.

(ისტორიული მოთხრობა)



I

ესო ქრისტეს დაბადებამდე ერთ იტალიის ქალაქში, სირაკუსში, ცხოვრობდა მრისხანე მძნოთველი დიონისი. თვისის უსამართლობით იმან ისე გადიტერა სასელმწიფოს უოველი მცხოვრები, რომ იჭვი ჰქონდა, ვითომ ეველას მისი სიკვდილი უნდოდა.

ერთსეულ დიონისმა ბრძანა დაეჭირათ ბერძენი მირონი, რომელსედაც ძალიან გაჯავრებულა იყო. როდესაც მირონი მიუყვანეს, დიონისმა უთხრა:

— შე გავიგე, რომ შენ მძრასავდი და ჩემსე გლახათ ღაპარაკობდი.

— არა, — უპასუხა მირონმა, — შე შენსე გლახა არა მიფიქრია — რა, მხოლოთ ეს-კი სშირათ მითქვამს, რომ შენ უსამართლო კაცი ხარ.



— სასისღარო! — დაიუვირა დიონისმა, მარტო მავ სიტუებისთვის ჯვარცმის ღირსი ხარ და დანჯები კიდევ.

— მე სიკვდილისა არ მეშინიან, — უბასუსა შიროსმა — და ამისათვის შებრალებას არ გთხოვ; მხოლოდ გთხოვ სამი დღის ვადას, რომ გამოვეთხოვო ჩემ ნათესავებს. თავდებათ, ჩემ დაბრუნებამდე, აქ ჩემი მეგობარი დარჩება.

დაფიქრდა მმართველი და შემდეგ უთხრა:

— კარგი, შენ სურვილს ავასრულებ: გაძლევი სამი დღის ვადას და თუ ამ სამ დღეში სირაკუსში არ დაბრუნდნი, შენს მეგობარს მივცემ საწამებლათ. თუ შენი თავდები დაიტანჯება, შეიძლება მისმა ტანჯვამ შენ დაგისნას.

ამავე დროს დიონისი ჰფიქრობდა: «არ დაბრუნდება, დაე შეიტყოს ხალხმა, როგორი ცრუ და მტყუარა ეოფილა შიროსიო».

შიროსი მივიდა თავის მეგობართან, უამბო ეს ამბავი და სთხოვა სამ დღეს მის მაგივრათ ციხეში ჩამჯდარიყო.

ერთგული მეგობარი დიდის სიამოვნებით დათანხმდა, აკოცა შიროსს გამოსალმების დროს და მის მაგიერ თითონ წავიდა ციხეში.

## II

შიროსი საჩქაროთ გავიდა სირაკუსიდან და მივიდა იმ სოფელში, სადაც ცხოვრობდნენ მისი დედა და და, რო-

მელთაჲ მწარეთ დაიწეეს ტირილი, როდესაც კავის მიროსის ბედის-წერა. ისინი ცდილობდნენ მიროსი, რაც შეიძლება მეტნანს დაწინიელიყო მათთან; ბოლოს მიროსი გამოეცა დედას და დას და გაუდგა გზას.

მეტათ ჩქარ იბდა საწვალა მიროსი სირაკუსში მისვლას, მაგრამ უეცრათ ამოვარდა ქარიშხალი, დაიქუნა, დაიჭება და დაიწეო წვიმამ შხაუნე; მთებიდან ბარში გაექანა ნიაღვარი, ნაკადულები გადიდდენ და ნაპირებზე ამოვიდნენ.

გზასე ლურჯათ მოჩანდა მდინარე. მიროსი მიუხსლოვდა სიღს. მდინარე ისე ადიდებულიყო, რომ სამიძარი ტალღები სიღსე გადადიოდნენ. მიროსმა სიღსე ასვლა ვერ მოასწრო, რომ სიღი ჩატედა. ამოთ ეცემოდა აქეთ-იქით, საცოდავი, უვლიდა მდინარის ნაპირებს და ტუუილათ იძახდა: არსად მშველელი, არც ერთი ნაკი არსათ ჩანდა. შეჩერდა შეწუხებული მიროსი.

მდინარე უფრო და უფრო გადიოდოდა ნაპირებიდან და დელაჲდა, როგორც სღვა. დრო გადიოდა. მზე შუადღეს გადასცილდა. თუ მისი ჩასვლამდე მიროსი სირაკუსში არ მივიდოდა, მისი ერთგული მეგობარი დაიღუპებოდა.

სასოწარკვეთილი მიროსი გადავარდა წყალში და დაუწეო ტალღებს ბრძოლა. აგერ წელის ნაპირსაც მიაწია; მთლათ დასველებულია, მაგრამ ის ამას არ გრძნობს და თავდავიწყებით მირბის. ქარი შეჩერდა, ღრუბლები გაიფანტა, მზემ გამოანათა. ჰყარი შეიკრა. არსათ ჩრდილი არ ჩანს;

საწეალი ძიროსი მოუძღურდა და კენესით მიწასე დაეცა.

უეცრათ იმან საიდგანლაც წელის ჩსრიალი გაიგონა; ძიროსი საჩქაროთ მიუხსლოვდა გორაკს და დაინახა მოხუნხუნე წეარო. სინარულთ მივარდა და გაიგრილა გული და ისევ გაუდგა გზას. ძირბის, მიეშურება, წინ ძიროსს შეხვდა ორი მკსავრი, რომელნიც ქალაქიდან მოდიოდნენ. ძიროსმა იმათ ლაზარაკს უური დაუგღო. ერთი მეორეს ეუბნებოდა: «ახლა-კი, ალბათ ის საწეალი საწამებლათ წაიუვანესო».

ელდა ეცა ძიროსს და უფრო ჩქარა გაიქცა. აკერ ის სედავს ქალაქის კოშკებს, ჩამავალი შისის სსივებით განათებულებს.

ძიროსს წინ მიეგება მისი სახლის მოურავი; ერთგულმა მოსამსახურემ შორიდან იცნო თავისი ბატონი.

— გაბრუნდით, დაუკვირა იმან ძიროსს, — დაიგვიანეთ, უძჯობესია ახლა თქვენ თავსე იფიქროთ; თქვენი მეგობარი მისცეს სატანჯველს. მოუთმენელათ გიცდიდათ ის საცოდავი. ბევრს დასცინოდნენ და ეუბნებოდნენ თქვენსე, ცრუ და მოღალატეაო, მაგრამ ის არავის არ უჯერებდა.

— თუ ჩემმა დაბრუნებამ არ იხსნა ჩემი მეგობარი, მაშინ მეც მივიღებ მონაწილეობას, მოვითხოვ, რომ მეც დამსაჯონ. არ გაბედოს მხართველმა იმის თქმა, რომ მე მოღალატე ვარ. უნდა დარწმუნდეს, როგორი მეგობრობა შეგვიძლიან.

## III

მზე ჩავიდა, როდესაც მიროსმა ქალაქის კარებს მიაწია. შორიდან დაინახა მოედანზე ჯვარი და გარშემოხვეული ხალხი. დაინახა როგორ აჭყავდათ ჯვარზე საცმელათ მისი მეგობარი. მიროსმა განაო ხალხი და დაივირა: — «მტარვლო, შესწვიტე სასჯელი, მე ვარ ის, რომლისათვისაც ეს თავდებით იყო». — ხალხი შეკრთა და შეჩერდა. მეგობრები გადაეხვიენ ერთმანეთს. მტარვლებმა შესწვიტეს სასჯელი. სწრაფათ გაიქცენ და დიონისს შეატყობინეს ეს ამბავი.

დამშვიდდა უღმობელი გული მრისსანე მმართველისა და ბრძანა განკიცხულნი მასთან მოეყვანათ

როდესაც მიროსი და მისი მეგობარი დიონისთან მივიდნენ, დიონისმა ღმობიერათ შესედა მეგობრებს და უთხრა:

— თქვენ დასძლიეთ ჩემი ავ-გულობა! ვსედავ, რომ ერთგული მეგობრობა სღანარი არ არის. უიხად მიროსო, რომ ამისთანა მართალი და ჰირობის კაცო ეოფილსარ. მიძილეთ მეც თქვენ შესამე და უძცროს ამხანავათ.

ბაბი და ლ...

(რუსულიდან)

# ობობა

(ოლივერ გოლსმიტიდან).



მ ოთხი წლის წინეთ ჩემი ოთახის ერთს კუთხეში შევნიშნე ერთი დიდი ობობა, რომელიც განუწვევტლივ შრომობდა და, როგორც შეემლო, საჩქაროთ იღებდა ჰირიდან ძაფებს და ქსელავდა. ჩვენი დედაკაცი წამდაუწუმ მოარბევინებდა ცოცხს იმის ჩამოსაგდებათ, მაგრამ მე მაძინვე ხელში ვეცემოდი და უკან გავაბრუნებდი სოლძე; ამ რიგათ როგორც იყო გადავარჩინე დაღუპვას ობობაც და მისი ქსელიც.

ობობამ ბეჯითათ განაგრძო მუშაობა და სამ დღეში უკვე მზათ ჰქონდა ოსტატურათ გაბმული ქსელი. ნეტა თქვენ თვალს ეუურებინა, რა რიგ იყო განსარებული ობობა, რა ბედნიერათ გრძნობდა თავს; ერთ წუთს არ ჩერდებოდა, არ უნდოდა თვალი მოეშორებინა თავისი ასალი ბინისათვის. ხან ერთ კუთხეში მიიჭრებოდა დასათვალიერებ-

ლათ და სან მეორეში, სან გარეშემო შემოურბენდა ქსელს და სან ქსელის გვერდით სოროში შეიჭრებოდა, სან სელასლათ გამოვარდებოდა სოროდან ქსელის დასათვალიერებლათ.

ზირველი მტერო, რომელიც გამოუნდა ჩემ ობობას და რომელიც ჭლამობდა მის იქიდან გამეგებას, იყო იმისი შესობელი ობობა. ამას არა ჭქონდა თავისი საკუთარი ქსელი, თუცა რამდენჯერმე დაექსელა, მაგრამ ვიღასაც დაეძალა და ამიტომ ძაფის მასალა გამოლეოდა; დაჩენილიყო უღონოთ და ახლა იმას ცდილობდა, რომ ვისთვისმე ძალით ძაინც წაერთმია ქსელი. ეს ობობა უფრო დიდი იყო ჩემ ობობასე. გაიმართა ომი. ზირველ შეტაკებას შედეგათ ის მოჭევა, რომ ჩემი ობობა დაიძლია და იძულებული იქმნა შემალულიყო სოროში. გამარჯვებული-კი ვეღას ძალას და მაცდურობას სძარობდა, რომ როგორმე გამოეძეგებინა იგი თავისი სიმაგრედან. ის სან უკან წავიდოდა, რომ ვითომ დამინახოს, რომ მივდივარო და ისევ უცბათ გამობრუნდებოდა. ბოლოს გაიძეგრობით, რომ ვეღარაფერი გააწყო ქსელს დაწყო უწეალოთ გლეჯას; ჩემმა ობობამ ეს შეურაცხყოფა ვეღარ მოითმინა, გამოვარდა და შეება მტერს. განდა ბრძოლა უწეალო. სან ერთი იყო ქვეშ და სან მეორე, მაგრამ ბოლოს სიძარტლემ სძლია ბოროტებას და ჩემმა ობობამ თავისი მტერი სიცოცხლეს

გამოსასლმა. ამას შემდეგ დაუწყო ჩემმა ობობამ ქსელს განასწავლა. ახლა იმის მოლოდინში იყო, რომ რაღაც მწერი გაბმულიყო დაგებულ მასეში.

სამძა დღემ განვლო ამ მოლოდინში; ერთიჯ ვნახოთ ქსელში გაება ერთი დიდი ბუსი; დაიწყო საცოდავმა ფრთხილი, ბევრს ეცადა, მაგრამ ვერსად წაუვიდა ოსტატურათ დაგებულ მასეს. ობობამ ესეც არ აკმაწარ მსწვეწრწლს, მიიწრწინა და კარწეწეწო ბადე წეწოწაქსოვა ისე, რომ ბუსს აღარ წეწეწლო არწ ფრწეწების და არწ ფწეწების ნწრწეწვა და ამ წვაწლებამში ამოწეწვიდა სწული. ობობა ეწა ბუსს და საწწქარწოთ წეწარწეწეწინა სოწროწმი.

ამ რიგათ ცწხოწვრობდა ჩეწმი ობობა, დღეს თუ გამამღარწი იყო, სწრწულიად არწ ფწიწქრობდა თუ რიწთი იწრწეწინა თავს სწვალ. მაგრამ ბუნეწბამ იწვის თავისი წწესი, იგი უწეწლას ისე ასწარწდოკებს, როგოწრწც საწწეწიწრწოა; ჩეწმ ობობასწაც, ის ერთი ბუსი თიწეწქმის ერთ კვიწრწას ეწო. ერთწეწელ გამოსწაცდელათ დავიწწიწრწე ქინწელა და ჩაწეწუსწვი ქსელში. ობობა, დაწინასწა თუ არწ ეს, ჩეწეწულეწბისწამეწბწრწ გამობმანდა სოწროდან და გამოსწწწა ქინწელასწაკეწნ და როდესწაც წეწინიწწნა, თუ რწ საწმიწმარწი სწტეწმარწი სწწეწეწვა მის საწეწეწოს, მამწინწეწე დაგლიწვა ქსელი და ცდიწლობდა როგოწრწმე გაწეწეწეწბინა დაწეწაწტიწეწბელი სწტეწმარწი.

ამას შემდეგ მე მეკოწნა, რომ სეწლასწლათ დაწაკეწრწებდა

ქსელს, მაგრამ დაკერების მაგივრათ მან დაიწყო ახლის კეთება და ძალე მოაძსადა კიდევ ახალი ქსელი. ახლა თვით მე გადავეძტერე ობობას; მინდოდა, რომ გამომეცადნა რამდენი ქსელის გაკეთება შეეძლო. ავდექი და სულ მძლათ მოვუძაღვე შსამსარეული ქსელი, ასევე მოვეძევი მეორეჯელ მის ნამუშავარს. მესამეთ-კი აღარ დაუწევია კეთება; ეტეობა მძლათ გამოელთა სსქსელაფი მასადა. იჯდა სსწესალი მოკუნტული, დაღონებული, მთელი საათობით, მაგრამ ფრთხილათ-კი. ისრე ბუსი არ გაფრინდებოდა, რომ ობობა არ წასტანებოდა, ბევრსაც იჭერდა. ბოლოს არ ვიცი უსაქმურობამ, არ ვიცი გაჭირვებამ, თუ არ ვიცი შიძმძილმა, იქამდის მიიყვანა, რომ გაბედა სსვის თავზე დაკემა. გპირულათ ეცა მესობლის სიმაგრეს, მაგრამ დამარცხებულ იქმნა. ამითი მან გული არ გაიტყნა, საში დღე ადგა ცინეს კარზე, მესამე დღეს ომში დამარცხა ქსელის პატრონი ობობა და თვითონ ძლევა მოსილი გაბატონდა. დაათვალთიერა ახლათ აღებული სიმაგრე და მის მახლობლათ დასახლდა.

ობობა ამას შემდეგ წინანდებურათ უჭკუოთ აღარ იცუოდა, უცდიდა, რომ ქსელში რამდენიმე ბუსი ერთათ გაბმულიყო და ისე ასსნიდა სოლმე. ამ რიგათ ჩემმა ობობამ გაატარა საში წელიწადი. ეოველ წლივ იგი ერთხელ იცულიდა ტეავსა და მასთანვე ეოველ წლივ თითო წვეილი ფესიც ემატებოდა. მე ბევრჯელ სსცდელათ მოვაგლევ-

დი ხან ერთს და ხან მეორე უყვს, მაგრამ ორ-სამ დღეში ისევ ამოუვიდოდა სოფლე. პირველათ ძრიელ ეძინოდა ჩემი ობობას, მაგრამ ბოლოს იქამდის დაჰმეგობრდით, რომ სელიდან ბუსებს მართმეკდა და მუცლისკენ გსაენიდა. მსოფლიოთ როდესაც-კი უცაბედათ სელს მოვასკეღრებდი მის ქსელს, იგი მაშინვე ამხედრდებოდა და მოემსადებოდა თავის დასაცველათ.

გიგო შატბერაშვილი.

(რუსულიდან)



მ ე ჩ ე ქ მ ე.

ი გ ა ვ ი



რთმა კაცმა მეჩექმეს ფესსაცმელი შეუკვე-  
 თა და ბეთ წინათვე ღირებულობის ნახე-  
 ვარი ჩააბარა. დანიშნულ ვადასე მივიდა  
 ეს კაცი სახელოსნოში და ჩექმები მხათ  
 დასვდა; ჩაიკვა, გაძინჯა — ჰატარები მოუ-  
 ვიდა.

— ძაგასე ნუ შესწუხდები, — უთხრა  
 მეჩექმემ, — ესენი დარჩეს, სსვებს შე-  
 კიკერავ ისეთს, რომ გაწულობით მოგვი-  
 დესო.

ამასაც მეტი რა გზა ჰქონდა — უნდა დათანხმებულიყო.  
 მეორე ვადასე მივიდა კაცი მეჩექმესთან; გაძინჯა — ჩექმები  
 დიდები მოუვიდა.

— ჩემო ძმაო, — წუროპით უთხრა მუშტარმა მეჩექმეს,  
 — სადაური ხელობაა: ხან ჰატარა მოგდის ფესსაცმელი,  
 ხან დიდი; თუ კერვა არ იცი, ხალხს რათ ატყუებ და მე-  
 ჩექმეობას რათ ჩემულობო?

— კერვა, შენი ჭირბე, კაი მოგეცეს, კაი ვოცი; მსო-  
ლოთ ჰირველათ სომის ადებაში შემცდა, მეორეთ გამოჭ-  
რაში და თუ არ გამოირისნდები და შესამედაც დამაცდი, ჩი-  
ნებულათ შეგისრულებ სურვილსაო.

— როგორც ვხედავ, — მიუგო მუშტარმა შეჩექქეს, — ახ-  
ლა შეიძლება ზომა კარგათ აიღო, კარგათაც გამოსჭრა,  
შეკერვაში-კი შეგვდეს, ამიტომ შესამედაც გცდი; მსოლოთ  
ჩემი სურვილი ახლა ეს არის: ბეთ მოცემული ფული და-  
მიბრუნე და მერე შორს და მშვიდობითო.

შეჩექქემ სიტყვა ვერ გადათქვა: უხალისოთ წაიღო ჯი-  
ბისკენ ხელი, ფული ჰატრინს დაუბრუნა და შესამე სურვი-  
ლი მაინც ნამუსიანათ შეუსრულა.

ალ. მირიანაშვილი.



## ოქროს კვერცხის მღებელი ქათამი.



ართალია ეს ამბავი, რაც ახლა უნდა ვი-  
 ამბოთ სლანარით იწეება, მაგრამ სრუ-  
 ლი სიმართლეა. მამ დაიწეებ ასე:

იყო ერთი ღარიბი ქვრივი დედაკაცი,  
 მენახშირე ტალანდიეს ცოლი. ეს დედაკაცი ფონტენებლოს  
 ტეში ერთ ღარიბ ქონში ცხოვრობდა. ქვრივ ტალანდიეს  
 ჭეჯდა ერთი შვიდი წლის ქალი. როდესაც მისი უბედური  
 ქმარი დიდხნის ავთმოფობის და ტანჯვის შემდეგ მოკვდა,  
 საცოდავ დედაკაცს არც ავეჯი და არც ფული არა დარჩე-  
 ნია-რა. მისი ბედნიერება ის იყო, რომ კარგი მუშა დედა-  
 კაცი იყო, თავისი შრომით ცდილობდა ემოვნა ვეელაფერი,  
 რაც-კი თავის ჰატარა ნანეტასთვის საჭირო იყო. იმისი  
 ქონი სოფელთან ახლოს იდგა.

ვეელას ებრალებოდა საწუალი ქვრივი, სარეცხს არეც-  
 ხინებდენ, ჰურს აცსობინებდენ და ბოსტანს აკეთებინებდენ.  
 ამ შრომით და მუშაობით იყო, რომ იმან სამი თხა იუი-



და. მანში უოველ დილით თხები ფონტენებლოში მიჭეავედა და იმათ რქეს მდიდარ ოჯახებში ჭეიდდა. შეიდველების თვალწინვე სწველიდა თხებს და დღეში სამ-ოთხ ფრანკს (ფრანკი შვიდი მხურიც) იკებდა. ეს შემოსავალი თუმცა მარტო ორ-სამ თვეს იყო, მაგრამ დედა-შვილს თითქმის მთელ წელიწადს ჭეოფნიდათ. სოკს სხვა ვაჭრობითაც შოულობდენ: გასაფხულსე იას, სოკოს, მწვანილს ჭეიდდენ, ენების მოწვევის დროს თავთავებს ჭერავდენ.

სამმა წელიწადმა გაიარა. ქვრივი ამაყობდა მით, რომ თავის დღეში არავისთვის არა ეთხოვნა-რა. ჰატარა ნანეტა ათი წლისა შეიქნა. ერთ დღეს ბავში ერთ ბოსტნის ღობესთან თხებს ამოვებდა და გსახე ჰატარა მომაკვდავი წიწილა დაინახა, აიუვანა ხელში და ბოსტნის ჰატრონს გადასძახა:

— ოჰ ბატონო, მოდით ნახეთ, აქ ერთი ჰატარა მომაკვდავი წიწილა გდია, უთუოთ თქვენია.

— ვიცი, ხეძო ჰატარავ, მე თითონ კადმოვაგდე.

— მამ თქვენ აღარ გინდათ?

— რის მახინისია, რათ მინდა.

— მამ მე მახუქეთ?

— წაიუვანე, ეგ რომ სასარბიელო სახუქარია!

ჰატარა ქალმა წიწილა უბეში ჩაისვა, მოათბო, ისე რომ საცოდავი ფრინველი გამოცოცხლდა, წიწინი დაიწ-

ყო, ორი საათის შემდეგ ფეხზე წამოდგა და ჰურის-გულს, რომელიც ბავშვა დაუარა, კენკა დაუწყო.

სინარულით აღტაცებულმა ნანეტამ რამდენიმე წვეთი რძეც დააღვეინა, ამან წიწილი უფრო გამოაფხინებდა. სადამო ჯამზე, როდესაც თხები ბოსელში შერევა, ვარისის სმაძღაღმა წიწივმა ნანეტა ძალიან გასასარა, იმას იმედი მიეცა წიწილის მოწინისა.

— უუურე, დედა, რა ლამაზია! უთხრა ნანეტამ ამაყათ დედას და უამბო როგორ იძოვა წიწილა. — სულ თეირია, არც ერთი ნიძანი არა აქვს. ოჰ! როგორ შეუვარება, როგორ მოუფული!.. ნეტა-კი დედალი იყოს, რომ კვერცხი დაშიდოს.

ბავშვის სურვილი ასრულდა, ჰატარა მომაკვდავი მიტოვებული წიწილი, მშვენიერი დედალი გამოიხარდა. ექვსი თვის შემდეგ კვერცხის დებაც დაიწყო. როგორი სინარული შეექნა ნანეტას, როდესაც ქათამმა ჰირველი კვერცხი დადო. ხან აქეთ, ხან იქით ხელში ატრიალებდა და იმისი სითეთრით და სიდიდით სიამოვნებდა. რამდენისაშე დღის შემდეგ ექვსი კვერცხი მოკროვდა და ნანეტას დედამ ბასარში გასაყიდათ წაიღო.

ინაზარი იყო და ძალიან ციოდა, კვერცხი იშვიათათ მოჭქონდათ გასაყიდათ და ამიტომ ექვსი კვერცხი ათ მხურათ გაიყიდა.

— ოჰ! ჩემო შვილო, თქვა დედამ მოსვლის უმაღლეს, ეს



ქათამი ოქროს კვერცხიან ქათმათ შეიქნება. ბავშმა გაკვირვებით შესედა დედას. დედამ ერთი ოქროს კვერცხიანი ქათმის შესახებ აი რა უამბო.

«იყო და არა იყო რა, იყო სამი ქალი, რომლის დედამა ისე ღარბები იყვენ, რომ როდესაც დახოცენ ერთი დარტვა სელის ძაფისა, ერთი კურდღლისა და ერთი ქათმის მეტი არა დაჩინათ რა. უფროსმა დამ თქვა: მე ავიღებ ამ სელის ძაფს დავართავ და გაუვიდო. მეორემ თქვა: მე კურდღელს ავიყვან ბაჭიებს დავაზრდევინებ, კარგათ გავასუქებ, ბასარში გავიტან, გაუვიდი და ვიცხოვრებო. მარტო ქათამი ლა დარჩა და ისიც უნცროსმა აიყვანა და იმანაც ასე ინუგეშა: კვერცხს დასდებს, გაუვიდი და ჰურს ვივიდო. სამი დანი ერთმანეთს გაშორდენ. ის, რომელმაც ქათამი წაიყვანა, მინდორში დადიოდა, ჰურის მარცვლებს აგროვებდა, ქათამს უყრიდა, ქათამიც მადიანათ ჰკენკავდა და მართლაც მალე მშვენიერი დიდი კვერცხი დასდო. იმ დროს, როდესაც ახალგაზდა ქალი შეჭხაროდა ამ კვერცხს, ერთმა წელში მოღუნულმა ღრმა მოხუცმა დედაკაცმა გამოიარა.

— ოჰ! რა მშვენიერი კვერცხია, თქვა მოხუცმა, — რა სიამოვნებით შეჭხამდი, გუშინდელს აქეთია არა მიჭამია-რა და ძლივს ფესზე ვდგეპარ.

— აჰა, დედი, უთხრა ეძწვილმა ქალმა მოხუცს და მსიარულათ კვერცხი გაუშვირა, ცოტა ღონეს მანაც მოვიმატებს.

საწყაღმა მოსუცმა კვერცხი გატეხა და გადაულანა. უც-  
ხათ ერთ მძვენეირ მდიდრულათ ჩაცმულ ლამაზ ქალათ გა-  
დაიქცა. მთელი ტანისამოსი სულ ოქროთი და ვერცხლით  
იყო ნაკერი და იმოდენა ძვირფასი თვალ-მარგალიტი ევა-  
რა ზედ, რომ ქალი იმის სხივს თვალს ძლივს უსწორებდა.

— შენ, ჩემო შვილო, შემობრალე, უთხრა ქალმა—მე  
ფერიან ეძეროდი ვარ და, რომ შენი კეთილი საქციელის სა-  
მაგიერო გადაგინადო ამიტომ დღეის იქით შენი ქათამი  
რამდენ კვერცხსაც დასდებს ოქროთ გადავაქცევო. ამ სიტყ-  
ვებზე ფერია უცხათ გაჭქრა და ეძაწვილი ქალი გამტყრე-  
ბული და გაკვირვებული დასტოვა.

მეორე დღეს ქათამმა ოქროს კვერცხი დასდო და ასე  
ყოველ დღე დებდა თითო ოქროს კვერცხს. ეძაწვილი ქა-  
ლი ძალე გამდიდრდა ისე, რომ ერთმა ხელმწიფის შვილმა  
ცოლათ შეირთო.

ხელმწიფის რძალი ძალიან ცდილობდა თავისი დების  
ზოგნას, უნდოდა თავისი სიმდიდრე იმათთვისაც გაენაწი-  
ლებია. ბევრი ძეხნის შემდეგ, როგორც იყო იზოგნეს სა-  
ცოდავათ გაღარიბებული და მონძებში გასვეული ორნი  
დანი.

უფროსმა დამ თქვა: როდესაც ჩემი ძაფი დავართე და  
ბაზარში გასაუიდათ მიძქონდა ერთი მათხოვარი ქალი შე-  
მსვდა გზასე და ერთი აგება ძაფი თავისი დახეული კაბის  
დასაკერებლათა მთხოვა.—აგრე თითო აგება რომ უკვლას



ვურიგო— ვუპასუხე მე, — რაღა დამრჩება, შენთვის— კი არ მიმ-  
 რომია— მეთქი. იმან შიშატოვა, ავგულა დამიძახა და დაუძა-  
 ტა: — შენ მთელ წელიწადს მათხოვრობით ირჩინე თავიო.  
 ხან— და— ხან ლუკმატ— კი არ გქონდესო; რაც მითხრა ასრულ-  
 და, მართლაც ნახევარზე მძიერი ვიუხვი ხოლმე.

— მეც სწორეთ აგრევე დამეძარტა, დაუძატა შუათანამ,  
 როდესაც ჩემი კურდღლები გასაყიდათ გავიუვანე გზაზე  
 ერთი მონებში გახვეული დედაკაცი შემხვდა და ერთი კურდ-  
 ღელი მთხოვა, როდესაც უარი ვუთხარ— მეც ის მითხრა,  
 რაც ჩემ უფროს დას. აი ეს ერთი წელიწადია ვკლბ-  
 ხლობო.

ამათ ლაპარაკზე ზრინცესა მიხვდა, რომ ის მათხოვარს  
 დედაკაცი ფერია ეპეროდი უოფილა და ჯერ თავისი თავ-  
 გადასაგალიც უამბო დებს და შერე უთხრა:

— ახლა მინდა ჩემი ბედნიერება და სიმდიდრე თქვენს  
 კავინაწილათ. მაშინვე მშვენიერი ტანისამოსი დაუკერვინა  
 და მდიდარ კარის— კაცებს მიათხოვა.

— რა მშვენიერი ზღაპარია! წამოიუვირა აღტაცებით  
 ნანეტამ. მამ დედა ოქროს კვერცხის მდებელი ქათმები არი-  
 ან განა?

— არა ჩემო ზაწაწავ. ხომ სედავ რომ ექვსმა კვერცხმა  
 ათი შაური მოგვცა? როდესაც კიდევ მოვაგროვებ, მაშინ  
 ზატარა ოქროს ფულს მოგიტან და როცა ბევრი ამისთანა  
 ოქროები მოგროვდება მაშინ ორ თუშინან ოქროებსე და-

ვცვლი; აი ასე შენი ქათამიც ოქროს კვერცხიანათ გადი-  
ცემა, გესმის?

— ჭო, მესმის, თქვა ზატარა ქალმა, მაგრამ მე მი-  
ჩვენია, რომ როგორც სღაპარშია ისე იყოს. რაკარგი იქ-  
ნება, რომ კეთილი ფერია ჩვენთანაც მოვიდეს.

— ფერიები აღარ არიან შვილო.

— რატომ, დედა?

დედამ არ იცოდა რა ეპასუხნა — რა ვიცი, თქვა ბო-  
ლოს ტალანდიემ, უთუოთ ძალიან დაბერდენ და ბოლოს  
აღბათ დაისოცენ.

— აუსუს! თქვა ზატარა ქალმა და გულ-საკლავათ ამო-  
ისვენება. რა კარგი იქნება, რომ იმათიანა ხალხი არ ისო-  
ცებოდენ, რაბდენ სიკეთეს მოუტანდენ ხალხს!

დადგა გასაფხული, ნანეტა ძალიან სწუსდა რომ ქათამი  
კვერცხს აღარა დებდა.

— უთუოთ ქათამი მოიქნცა და ისვენებს, შვილო, თქვა  
დედამ და ისევ დაიწუებს კვერცხის დებას. ძართლაც საფ-  
ხულში თეთრამ, ასე უძახდა ნანეტა ქათამს, დაიწყო კვერც-  
ხის დება და იმდენი დასდო, რომ ტალანდიემ კარგა ბლო-  
მათ გაჭეიდა. ზატარა ქალის ქისა თან-და-თან ივსებოდა.

მკათათვე იყო, საშინლად ცხელოდა. ერთ დილას ასე  
ათ სწათსე, ნანეტამ დაინახა, რომ ერთი ჩაღის ქუდიანი,  
ლამასათ ჩაცმული ქალი შემოვიდა იმათ ესოში, უკან ერ-  
თი კაცი მოსდევდა.



ქალი მოურიდებელივ ჩაჯდა ხალის სავარძელში და მსიარულათ წამოიძახა:

— ძლიან დავიქანტე!.. სიცხისაგან გული მიწუსს!.. მძიან!.. ზატარავ, აბა მოგვიტანე რაღაც საჭმელი... თუნდა შავი ზური, სულ ერთია, მძიან!.. მძიან!..

კაციც სიცილით იძახდა:

— აბა, ჩემო ზატარავ, არაფერი არა გავქვთ რომ გვაჭამოთ.

— ქალბატონო და ბატონო, უთხრა გაკვირვებულმა ნანეტამ და მოწიწებით თავი დაუკრა, ახლავე დედაჩემს დავუძახებ, ის უკეთ გაგიმასპინძლებათ. მალე დედა მისიც მოვიდა.

— ოჰ! ქალბატონო... ოჰ! ბატონო! ეს როგორ მოხდა, რომ თქვენ ჩემი დარბი ქონი გაანბენიერეთ და შემობძანდით! ღმერთო ჩემო, რითი გემსახუროთ, რა მოგართვათ?

— თქვენ, ჩემო კეთილო, რაღაც საუხვე გვაჭამე, უთხრა ახალგვდა ქალმა.

— ოჰ! ღვთის-მშობელო! აქ იმისთანა არაფერი არა მახეს-რა, რომ თქვენი საკადრისი იყოს.

— თქვენ, აი კვერცხები გქონიათ, უთხრა კაცმა და მიუთითა კალთასზე, რომელშიაც ექვსი კვერცხი ელაგა. არ შეიძლება ერბო-კვერცხი გაგვიკეთოთ?

— რა კარგი იქნება! წამოიყვირა ქალმაც და აღტა-



ცებით ტაში დაუკრა, - ერბო-კვერცხი! მშვენიერი იქნება.

ამ სიტყვებზე ქალმა ქუდი მოიხსა და მშვენიერი ოქროსფერი თმები გამოიჩინა. თუმცა ძალიან ლამაზი არ იყო, მაგრამ იმისი მხიარული, კოსტა უძანკო სანის შესედულება იხიდავდა ადამიანს. კაცი რომელიც ქალთან ერთად მოვიდა ორმოცი წლისა იქნებოდა, ქალი მას ხან შარლს და ხან ჩემო მეგობაროს უძანდა. ეტუბოდა ქალის ქმარი უნდა ეოფილიყო.

— აბა, რას ზძანებთ, თქვა მასწინძელმა, ექვსი კვერცხის ერბო-კვერცხი როგორ გავაძლობთ. მე მგონია, რომ ურიგო არ იქნება კიდევ კართოფილით შემწვარი ლორის შაშისი მოგართვათ. სამკალებდ მუშები მევანდა მოწვეული და იმათთვის ვიუიდე. მგონი რომ კარგი იქნება.

— ჩინებულა, წამოიძახა კაცმა, მშვენიერი ასრია.

— თუ გნებავთ, ქალბატონო, ერთ ჭიქა რძეს მოგართმევ, უთხრა მოკრძალებით ტალანდიემ.

— ძალიან კარგი! აბა ჩქარა, ჩქარა.

ზატარა ხანს უკან ნანეჟამ ქოთნით სავსე ნაღბიანი რძე მოართვა, ქალმა სიამოვნებით დალია და წამოიძახა:

--- ახლა-კი შემიძლია მოვიცადო.

სტუმრები აღტაცებით შესცქეროდნენ მასწინძელს, რომელიც იქვე მარჯვით საუხმეს ამსადებდა. ნანეჟაც სუფრასა მლიდა.

ტალანდიემ საჩქაროთ ერბო-კვერცხი დაამსადა, იმას მოაუოლა მშვენივრათ დაბრაწული ლორი კართოფილით; ახალი დაკრეფილი ქლიავი და ერთი ჰატარა წველა თხის უველიც მოარბენა ნანეტამ და გაიმართა საუსმე.

— ოჰ! ჩემო მეგობარო, წარმოთქვა ახალგაზდა ქალმა, რომელიც თავისი თეთრი კბილებით მადიანათ შეექცეოდა მავ ჰურს, რა საუსმეა!

— ამისთანა გემრიელათ ჯერ ჰური არ მიჭამია, უზასუსხა კაცმა. ამ დროს მშვენიერი თეთრი ქათამი მიუახლოვდა მაგიდას და ნამცეცებს კენკა დაუწეო.

— ეს ქათამია, რომელმაც ამისთანა გემრიელი ერბო-კვერცხი მოგვიტანა? ჰკითხა ქალმა.

— დიას, ქალბატონო, უზასუსხა განარებულმა ნანეტამ იმით, რომ მისი საუვარელი აქეს. ყოველ დღე კვერცხს სდებს.

— მამ ოქროს კვერცხიანი ქათამი ყოფილა? თქვა დიმილით ქალმა.

ნანეტამ ქალის ალერსიანი ლაპარაკით გათამამებულმა დაწვრილებით უამბო, თუ როგორ იპოვნა წიწილა, როგორ გამოხარდა და ახლა რა მშვენიერი ქათამი შეიქნა და რა გემრიელ კვერცხებს სდებს. როცა საუსმე გაათავეს სტუმრებმა წასვლა დააპირეს. ახალგაზდა ქალმა ექვსი ოქრო დასდო მაგიდასე და ალერსიანათ უთხრა ნანეტას:

— თითო კვერცხსე თითო ოქრო, ჩემო კარგო, ახლა

კი თამამათ შეგიძლია თქვა, რომ ოქროს კვერცხის მდებელი ქათამი გვაეს.

— ოჰ! ქალბატონო, დაიუვირა ნანეტამ, თქვენ ფერიასომ არა ბრძანდებით?

ამ სიტყვებზე ქალმა გულიანათ გაიცინა და მისმა ქმარმაკ ბანი მისცა.

— არა, ჩემო ზატარავ! უთხრა ემაწვილმა ქალმა მეფერიას არა ვარ...

შემდეგ მიუბრუნდა დედა ტალანდიეს, რომელიც ასეთი უხვი საჩუქრით გაკვირვებული ნანეტასე ნაკლები აღტაცებით არ შესცქეროდა ემაწვილ ქალის მოცემულ საჩუქარს.

— თქვენი ვეელი მშვენიერი ნაკეთებია, მინამ მე აქ ფონტენებლოში ვიქნები უოველ დღე თითო წველა მომიტანეთ სოლმე.

— დიდი მოწებას გასლდებათ ჩვენთვის, უზასუსა დედაკაცმა და დაბლა თავი დაუკრა, მაგრამ, ქალბატონო, რომ არ მიბრძანეთ თქვენი გვარი?

— ჰო, მართლა! თქვენ მოიტანეთ ვეელი სასასლემში და იკითხეთ ბატონი და ქალბატონი დე-ბერი.

— დიერთო ჩემო! დაიუვირა გაკვირვებულმა ტალანდიემ, — განა ეს შესაძლებელია? განა მე ჩემს ღარიბ ქონში სტუმრათ მეწვივნენ...

— დიუკ დე-ბერი და მისი მეუღლე, თქვა კაცმა და დაუმატა: რომლებსაც ჯერ თავიანთ სიცოცხლეში ამისთანა გამკრიელი საუსმე არ უჭამიათ.



— შერე იცით როგორ მოხდა? დაუმატა მხიარულათ დიუკის ცოლმა. ტეჰში გზა დაგვებნა. სედავ, ჩემო კეთილო, რომ სოვი ჭირი მარკებელა.

უგზავლია ტალანდიეს ცოლი ეცდებოდა, რომ გემრიელი ვეელი გავეკეთებინა და ესნამოვნებინა კეთილი ხალხი.

დიუკის ცოლმა ნანეტა თავისთან დაიბარა და ბევრი ლამაზი და სასარგებლო საჩუქრები მისცა. ეოველ წელიწადს ტალანდიე ამხადებდა ვეელს დიუკის ცოლისთვის. მაგრამ უბედურმა ამბავმა მოაღწია ტალანდიეს უურამდინ: დიუკი მოჰკლესო! შემდეგ საფხულს, როცა ნანეტა სასასლემში მივიდა, კეთილი და მხიარული ახალგაზდა ქალი მძიმე შავებში იყო. ნანეტას დანახვასე თავისი ბედნიერი დღეები მოაგონდა და ბევრი იტირა.

რამდენიმე წლის შემდეგ, როდესაც სასახლის ჰატრონმა დიუკის ცოლმა შეიტყო, რომ ნინეტა ერთ ჰატრონსან ემსწვილ კაცს ირთავსო, საჩუქრათ მშვენნიერი მშითვეი და ერთი ოქროთი სავსე ქისა გამოუგზავნა.

დედა ტალანდიე ეოველთვის იტყოდა ხოლმე:


— ეს სულ ერთი ქათმის წეალობაა და განა არ შეიძლება ჩვენ თეთრ ქათამს ოქროს კვერცხის მდებელი დავარქვათო.

ეკ. მესხი.

(ფრანგულიდან)



## ბავშვის ალერსი.



ფრანგებსა და ნემეცებს შორის 1870 წელს ომი იყო, ნემეცებმა ფრანგების სამფლობელოში ბევრი ადგილები დაიპყრეს და სამშობლოში დაბრუნების დროს ბევრი დაჭრილი ჯარის-კაცები მიჰქუავდათ, თავიანთივე და ფრანგებისაც. ნემეცების ერთ ქალაქში, ორი ნემეცის ბავში, ქალი და ვაჟი, რვა და შვიდი წლისა მივიდნენ სავაჭრომანქანაში, თან კალათით მიიტანეს ქაღებები დაჭრილი ჯარის-კაცებისათვის დასარეგებლათ. ვაჟს დიდი თურმეშაულის ვაშლიც ეჭირა ხელში, რომელსაც თითონაც დიდის სიამოვნებით ჩაჰკებებდა, მაგრამ თავგამოდებით სულ იმას ფიქრობდა: იმას მივცემ, რომელი ნემეცი დაჭრილიც უფრო უბედური იქნებაო. ფრანგს-კი არაოდეს არ მივცემო! ალელუებით ასე ფიქრობდა ბავში. მისი დაცხმობით იმეორებდა: «არა, ფრანგს ნუ მივცემთ, ნემეცს მივცეთ და



მსოფლიო იმისთანას, რომელიც ეველანზე უბედურია, უფესო და უხელოო».

— თქვენი ნებაა, იმას მიეცით, ვისთვისაც კემეტებთან, უპასუხა დაჭრილების მოძულელმა ქალმა — წამომევეით, აი, ახლა მივდივარ მე ჩემ უბედურ მეგობრებთან.

ბავშვები მოკრძალებით გაჭყვევ მოძულელ ქალს. ეძწვილი ისე სიამოვნებით ატრიალებდა თავის თურნაშულს, რომ მოძულელი ქალი დიმილით შესცქეროდა ეძწვილს და ყოველ წამს მოელოდა, საცაა ბავში ჩაჭებინავს დაბრწულს, წითელს ვაშლსაო. ცოტა ხანს კიდევ ატრიალა ბავშმა ვაშლი და შემდეგ კალათაში ჩასდო, ერთი ამოიოსრ და თქვა:

— სჯობია ესეც აქ იუოსო. კარი გაიღო და შვეიდენ გრძელს ოთახში, სადაც საწოლი ტანტები, ერთი-ერთმანეთსე მიდგმული, ზლომათ იუო ჩამწკრივებული, ყოველ საწოლსე გაფითრებული ჯარის-კაცი ესვენა. მტერ-მოუვარე, ფრანგი თუ ნემენცი, ერთი-ერთმანეთში არეული მშვიდობიანათ და წუნარათ იწვენ. თუმცა დიდი სისუსტის გამო ჯერ სიარული და ჯდომაც არ შეეძლოთ, მაგრამ გასაღებული-კი იყვნ. საცოდავებმა დიდი ტანჯვა გამოიარეს, ვიდრე აქ მოაღწევდენ დასასვენებლათ. ჭრილობა, საფსულში პანანაქება სიცხეში სიარული, ციება, საავათმეოფო ეტლში ჯანჯაფი, — ერთი გამოუთქმელ ტანჯვა-წვალებას აყენებდა საცოდავ ჯარის-კაცებს.

კარგის მოვლით დაჭრილებს საავადმყოფოში მოსვლისა-  
 თანავე ნელ-ნელა უკეთობა დაეუოთ. შემდეგ იარები და  
 ჭრილობაც სრულებით მოურჩათ. ერთს შესვეული ხელი  
 მტრის ტუფისაგან დაფლეთილი შემოთ საბანსე განუძრე-  
 ლათ ედო, მეორეს მარტო შესვეული მხარი უჩანდა, მკლავ-  
 ვი-კი ომის ველსე დაეტოვებინა, მესამეს ფეხის ერთი ნა-  
 წილი-ლა დარჩენოდა ანერაცის შემდეგ, სოგს ქვემო ება  
 ჭქონდა ასვეული, სოგს უშველებელი მალამო ეკრა შუბლ-  
 სე, სოგსაც თვალები ჭქონდათ დასუჭული. — ძთელს სა-  
 ავადმყოფოში მწუნარება და გოდება განსძიდა.

რამდენსამე ჯარის-კაცის საწოლთან, კედელსე, ფოტო-  
 გრაფიული სურათები ეკიდა: მოხუცებული ძამისა და დე-  
 დისა, საუვარელი დისა ან ცოლისა; სოგ-სოგ საწოლებ-  
 თან ბავშბის სურათებიც მოჩანდენ. ეველა ამ უბედურთა-  
 განს ჭეხვდა სახლში დატოვებული საუვარელი ოჯახობა,  
 ცოლ-შვილი, რომელნიც მათი სსნისათვის ღმერთს ევედ-  
 რებოდენ, მათთვის ღოცულობდენ. ავადმყოფები ერთი-ერთ-  
 მანეთს უამბობდენ თავიანთ ვინაობას, სახლიდან მოსულს  
 წერილებს ხმა-მადლა კითხულობდენ და ვითომ ბასობდენ.  
 ფრანგი — ნემენსს, ნემენცი — ფრანგს ხელის მოძრობით,  
 ან თითო-ოროლა სიტყვებით, როგორც იყო აკებინებდენ  
 თავიანთ მდგომარეობას. მომეღელი ქალი ეველა მათგანს  
 აღზრდით და ღიმილით ჭკითხვდა ვის რა ჭსურდა, ან რა

აწუსებდა, ბავშებიც საწოლიდან-საწოლთან მიდიოდნენ და უოველ ჯარის-კაცს, ნემენცი იყო თუ ფრანგი, ქადას სელში უწეობდნენ. მოძველები ქალი სშირათ იმეორებდა.

— ეს საბრალონი ეველა ერთხანით არიან დაჭრილ-ნიო.

ბავშებმა ქადები სულ დაურიგეს, მხოლოდ თურაშუ-ლი ვაძლი-ლა დარჩათ. ნეტა რომელია ეველასე უბედური? ეკითხებოდნენ ბავშები თავის თავს.

ათვალიერეს, ჩათვალიერეს და უცბათ დაინახეს კუნ-ჭულში მჯდომი ჯარის-კაცი. ის თითქო ეველასე საღსა ჭკავდა, არც ერთი სსეული შესვეული არა ჭქინდა, მაგრამ გამოუთქმელი მწუსარება ინატებოდა მის დაღვრემილ გაც-რეცილ სასესე.

— რა დამართუნია იმას?—ჩუმად ჭკითხეს ბავშებმა ავათ-მუოფების ეურის-მგდებელ ქალს.

— ეკ სრულიად გასაღდა და სვალ სამშობლოში გსავ-ნიან, — უნასუნა მოძველებმა ქალმა.

— მამ რაღათ არის აგრე შეწუნებული?

— იმისათვის, რომ ვიდრე ომში იყო დედ-მამა დაესო-ცა, სსვა აღარავინა ჭქავს ნათესავთავანი. მაგისი მისვლა აღარავის განსარებს ამ ჟამათ. არავინ ევედრება ღმერსს მაგის მშვიდობით დაბრუნებისათვის, არავინ ლოცულობს მაგ საცოდავისთვის.

ნემეცის ბავშებმა ერთმანეთს შესედეს, ჩუმათ მიუხს-  
 ლოდენ ფრანგის ჯარის-კაცს და ჩაუდეს ვაძლი სელში.  
 იმათ იპოვეს უკვლახე უბედური.

— ჩვენ ვილოცამთ შენთვის! — ალერსით წაუჩურჩულეს  
 ბავშებმა. ფრანგმა გაიღიმა. მოძველელ ქალს ამის მეტათ  
 იმის სახესე დიმილი არ შეუნიძნავს, ეს ჰირველი გაღიძება  
 იყო.

მარიამ დემურია.

(თარგმანი)



## ღამის თივა.

(კუძღვნი შატაბა თამარ-თინას)



ამა-პაპის ჩეულება:  
 „ღამის-თევა“ და „შვე-შინა“  
 მოგვეგონდა და გულს, დაგულს,  
 ია-ვარდათ მოგვეფინა.

მზის სხივების ანარეკლო,  
 შუქ—მღელვარე თინა-თინა,  
 უსახელო, სასახელო,  
 ათინავ და თამარ-თინა!

სად ყოფილხარ? სად მოსულხარ?  
 საუკუნო სად გაქვს ბინა,  
 თითის სიგრძე მოგზაურო,  
 გამოცანავ პაწაწინა!

მაგრამ, ეს რომ გამოვიცნოთ,  
 ან შენ ვინა? ან ჩვენ ვინა?

მხოლოდ გერწამს და აღვიარებთ,  
ვინც საჩვენოთ მოგაეღინა.

„იყავნ ნება მისი ყველგან,  
ქვეყნადაც და ცათა შინა“  
მას დიდება ძალთა შორის!  
ჩვენ — „მზე-შინა“, შენ — „ნანინა“.

ნუგეშო და სიხარულო  
დედ-მამისაე, პაწაწინა,  
გაიზარდე მომავალო  
ათინაე და თამარ-თინა.

ჯეჯი.



## ირას მთის გულია.



**თ**ორთმეტი წლის განმავლობაში მესენიე-  
 ბი ებრძოდენ სპარტელებს, იცავდენ თა-  
 ვიანთ თავისუფლებას ჭ ყოველ წართმეულ მი-  
 წა-წყლისთვის სისხლს ღვრიდენ. ამათი ჯარის  
 ძლიერება იყო ერთი გმირი, რომელიც სპარ-  
 ტელებს კრიჭაში უდგა და მოსვენებას არ  
 აძლევდა, ამ გმირის სახელი იყო არისტომე-  
 ნი. არისტომენს აღთქმა ჰქონდა, რომ სიკე-  
 დილამდის ებრძოლოს მტერს და თავის ხალხის თავისუფლების და-  
 საცველათ მზათ იყო თავი ემსხვერპლა. „კაცი ის არის, იტყოდა  
 ხოლმე არისტომენი — ეისი მიზანიც არის — ან გამარჯვება და ან  
 სიკედილი“.

ეს გმირი ომში მეტათ ფიცხი და სასტიკი იყო, საზოგადოთ  
 კი არაეისი ტანჯვა არ უყვარდა. მისი აზრით უშირალო მტერი აღარ  
 იყო მტერი. ყველა უმწეოსა და სუსტს პატრონობას უწევდა.

ერთ ღამეს არისტომენი, რამდენისამე ჯარის-კაცით ირას მთის  
 გამოქვაბულში დაბინაედა და ის იყო დაწვა გამხმარ ფოთლებზე,  
 რომ მისი ყურადღება მიექცია რალაცნაირმა ჩხაეილმა, რომელიც  
 თითქო ახალ დაბადებული ბავშვის ხმას წაგაედა.

— ეს პატარა მელიაა! წამოიძახა ერთმა ჯარის-კაცმა, როდე-  
 საც მიანათა მაშხალა გამოქვაბულის კუთხეში და დაინახა პატარა

ცხოველი,—მელია სულ პატარაა და ვერ გაჰყოლია დედას, რომელიც, ალბათ, ჩვენს მოსვლას შეუშინებია და გაქცეულა. უნდა მოგვკლა; მართალია პატარა არის, მაგრამ ისე დაძვრება აქეთ-იქით, რომ არ მოგასვენებთ.

და ის იყო ამოიღო ქარქაშიდან ხმალი რომ პატარა ცხოველისთვის კისერი გაეგდებინებინა, რომ არისტომენმა შეაყენა:

— ფთხილათ! არ მოჰკლა! — ფთხრა არისტომენმა. — ჩვენზე უწინ ეგენი იყვენ გამოქვამულის პატრონები და ჩენა ვართ დამნაშავე, რომ გაეაძვეთ ბინიდან. განა ჩვენ მტრებს სპარტელებს უნდა მივბაძოთ და დაეჩაგროთ ისინი, ვინც ჩვენზე სუსტნი არიან?!

ჯარის-კაცმა უჩიობა ვერ გაბედა და პატარა მეღიას თავი დაანება.

თავის ერთი მუკა ჯარის დასასვენებლათ მესენიის გმირმა ამოიჩნია ამ მთის გამოქვამული და დაჰყო იქ რამდენსამე თვეს.

მელია პატარა ძალღივით შეეჩვია და შეეთვისა თავის მხსნელ გმირს, რომელიც საკუთარის ხელით აჰმევე-ასმევედა მას. მელია გახდა არისტომენის განუყრელი მეგობარი და ფეხ-და-ფეხ დასდევდა და არ შორდებოდა. მესენიის ჯარის-კაცები გულთ იცინოდენ ხოლმე, როდესაც მათი ღენერლის ფეხ-ქვეშ დაძვრებოდა მელია, ან როდესაც მათი უფროსი დაწევბოდა მოსასვენებლათ და მელია მიადებდა მის მუხლებს თავის პატარა წვეტიან ჭროლა დინგს.

მოვიდა დრო და ეს მარჯვე ჯარი ჩამოვიდა მთებიდან ბარში და გაუმკლავდა ხელ-ახლათ სპარტელებს. ამისთანა ცხარე ომში ალარაის ახსოვდა პატარა მელია, მაგრამ ეს უბედური-კი მაინც არ შორდებოდა თავის დიდებულ მეგობარს და ფეხ-და-ფეხ დასდევდა დიდხანს, სანამ შეეძლო სიარული...

მაგრამ დახეთ უბედურებას! საქმე უკუღმა დატრიალდა, ჯარში ერთბაშათ გაისმა საზარელი ხმა, რომელიც გულში ლახეარსავეით მოხედა ყველა მეომარს: „ჩენი უფროსი დაატყვევეს, გმირი ღენერალი

მტერს ხელში ჩაუფარდა“... უმიმისოთ რაღა ომი შეიძლება. მენსენების ჯარი სასოწარკვეთილებას მიეცა, გაიფანტა, გაიქცა.

ამავე დროს სპარტელების ჯარის უფროსები შეიკრიბენ სათათბიროთ, რომ სასჯელი გადაეწყვიტათ თავიანთ გამოჩენილ ტყვესათვის. გამარჯვების სიხარულმა არ დააცხრო მათი ბოროტება, არ დაეიწყათ ის ზიზღი, რომელსაც ისინი გრძნობდნენ არისტომენის მიმართ.

— სიკვდილი იმას, ვინც თორმეტ წელიწადზე მეტია ამდენს უბედურებას აყენებს სპარტელებს, ის უნდა გადავისროლოთ იმ უფსკრულში, სადაც მრავალი დამნაშავე დახოცილდა.

ის უნდა მომკვდარიყო, როგორც კედებიან ქურდები და კაცის მკვლელები! მისი დანაშაულობა ხომ მხოლოდ ის იყო, რომ თავის სამშობლოს თავისუფლებას იცავდა!.. რა სირცხვილი უნდა ყოფილიყო სპარტელებისთვის! ნუ თუ მათთვის სამართლიანობა და პატიოსნება არაფერი იყო! განა შეიძლება იმ კაცის დასჯა, რომელიც ყოველთვის ებრძვის უსამართლობას!

გმირი მესენიელი ხომ ისე არ დაიმკირებდა თავს, რომ მტრებისთვის პატივება ეთხოვა. არისტომელმა ამაყათ გადახედა იმ უფსკრულს, სადაც მტარელებს უნდოდათ მისი ჩაგდება.

— ჩემი სათხოვარი მხოლოდ ეს არის, რომ არ მამაშოროთ მეგობარი, რომელიც ისე ერთგულათ მემსახურებოდა ომში, სპარსელებო, ნუ მომაშორებთ მე ჩემს ფარს.

გმირს სარდალს დიდ-პატივისცემის ნიშნათ მისცეს ამისი ნება.

არისტომენმა ხელი ჰკრა იმათ ვინც მიუახლოვდა სასჯელის ასასრულებლათ და თვითონ ამაყათ და გაბედულათ მიუახლოვდა საშინელ უფსკრულს, რომელიც ჩასანთქავეთ იწვევდა თავისაკენ.

გამხეცებულ სპარტელების სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. რამდენი ისეთი კაცების სიცოცხლე დაღუპულიყო ამ უფსკრულში, რომლებიც ომის ღმერთ მარსისაებ საომარის ხერხით განთქმულნი იყვნენ! ისინი ყველანი ამ უფსკრულის ძირში წვანან და იქიდან დაბრუნება არაეის ელირსება...



მაგრამ საქმე სხენანირათ დატრიალდა. ფარმა, რომელიც არისტომენს ხელში მაგრათ ეჭირა, კლდეზე დაჩეხას გადაარჩინა და გმირი უფსკრულის ძირში დაეცა.

უფრო სამჯობინო იყო, რომ კლდეზე თავი გაეტეხა და მომკვდარიყო. რა გამოვიდოდა იმით რომ ერთი დღით მეტს იცოცხლებდა ნახევარ კაცი, დანტერეულ-დაჩეხილი, საშინელ დიდრონ კლდეების ნატენებში, რომლებიც ბლომათ შეგროვილიყვენ იმ საშინელს ხრამში! ფარმა ის სამსახური გაუწია მას, რომ რამდენისამე დღით განაგრძო თავისი პატრონის ტანჯული სიცოცხლე.

გონზე რომ მოვიდა არისტომენმა მიიხედ მოიხედა და საშინელი სურათი წარმოუდგა: მის გარშემო ჩაბნელებულ უფსკრულში ბლომათ ეყარა ადამიანის დანტერეული თეთრი ჩონჩხები, რომლებთა შუა დატოპავდენ დიდრონი ცხოველები. შიშით თავზარდაცემულმა გმირმა თვალები დახუჭა და სიკედალს ელოებოდა. რამდენსამე ხანს იყო ამ მდგომარეობაში. ერთბაშით მოესმა, რომ თითქო რაღაც აფხაჭუნებდა. შემდეგ სახეზე რაღამაც თბილათ დასუნა. ცოტათი წამოიწია და მიიხედ მოიხედა.

— ეს რა ამბავია! ეს ხომ ჩემი მეგობარი მეღიაა, რომლისთვისაც არა ერთხელ მიქმევია საქმელი ჩემის ხელით. წარმოთქვა გოცებათ არისტომენმა. საბრალო პირუტყვო, როგორ იპოვე ჩემი გზა! რომელმა უცნაურმა საიდუმლო ძალამ მოგანახვინა სასიკვდილოთ გამზადებული შენი უფროსი?!.. იქნება ჩემი მეგობრებისაგან მომიტანე უკანასკნელი სალამი, რომლებიც უეჭველია მგლოვობენ და მტირიან!.. პატარა ერთგულო მეღიაე, შენა ხარ მოგონება ჩემი საუკეთესო დღეებისა, რომლებიც სამშობლო სათვის ბრძოლაში გამიტარებია. დაამთავრა გმირმა და ცხადათ წარმოუდგა თვალწინ თავისი ძვირფასი სამშობლოს მიწა-წყალი, რომელზედაც ახლა თავისუფლათ დაფართავობენ მისი მტრები... მოაკონდა თავისი წერილ-შეილი, რომლებსაც ობლობასთან მონობაც მოვლით... გმირმა თავი დააყრდო პატარა მეღიას და თვალთაგან ცრემლის ნაკადული

გადმოსკდა—მადლობელი ვარ, ჩემო მელიაე, რომ შენი მოსვლით დამიტყბე უკანასკნელი წამი ჩემი სრცოცხლისა. ახლა-კი წადი, ჩემო ერთგულო მეგობარო, წადო, დაუბრუნდი შენ საყვარელ მინდორველსა და ტყეებს და თავისუფლათ ისუნთქე ბრწინვალე მზის სხივები.

მელია ნელის ნაბიჯით წაატუნტულდა და თავისი წვეტიანი ღინგით გზას იკვლევდა. არისტომელს რალაც იმედის სხივმა გაღურბინა სახეზე, რადგან მელია ისე მიცოცავდა ხრამის ძირიაკენ, რომ თითქო არისტომენს თავისკენ იწვევდა. ძირში ჩასასვლელათ-კი გზის გაკვლევა იყო საჭირო და ეს გაკვლევა თუმცა სახიფათო იყო, მაგრამ ვინ იცის იქნება რამე მოხერხებულიყო.



უთხილი პირუტყვი კლდე-ღრეებში ისე ნელა მიცოცავდა და ისე მარჯვეთ აქეთ-იქით უხევედა გზას, რომ არისტომენიც ძალაუნებურათ მიცოცავდა მელიასაგებ მუცელზე გაწოლილი და რომ არ ჩამორჩენოდა და გზა არ არეოდა ხელში მელიას კუდი ეჭირა და ისე მისდევდა უკან. ისინი მიდიოდნ მკვდრის ხორცის მკვამელ პირუტყვებისაგან დაქნილ გზაზე, რომელიც საშინელი გასაგალი იყო: ეიწრო გზას, რომელზე გაელის დროს სუნთქვაც-კი გასაჭირი იყო აქეთ-იქით ი'ეთი კედლები ჰქონდა აყუდებული, რომ შიგ შივი კუნაპეტი სიბნელე გამეფებულიყო, კაცს შიშის ზარსა სცემდა, მაგრამ

ჩვენ გმირს ძალა ერთი ათად მოემატა იმ იმედით, რომ წაეა, გზას იპოვის, აიღებს ხელში ხმალს და შიშის ზარს დასცემს სპარტელებს. ის, რომელიც უკვე დამარხული ჰკონიათ, გამოეა და სამშობლოს მტრებზე შურს იძიებს, სამაგიეროს გაღუბნის. ეს იმედი თან-და-თან ძალას აძლევდა არისტომენს და თავის ერგულ მელთას კულზე ხელ-მოკიდებული განაგრძობდა გზას.

აგერ წმინდა ჰერმა თითქოს ალერსით დაუბერა მის სახეს. ბოლოს ეს ამოძერა მიწიდან... თავისუფალია!.. მისდა საბედნიეროთ ღამეც მშენიერი, მშვიდი და წყნარი იყო.

გამარჯვებულ სპარტელებს თავის ბინაზე გულ-ღამშვიდებით ეძინათ. ცაზე ჩრდილოეთის ვარსკლავი აჩვენებდა ჩვენს გმირს საიო მხარესაც უნდა წასულიყო. დანარჩენი ღამე სულ სიარულში გაატარა. დაღალულობისაგან ღონე მიხდილმა, შიმშილისაგან არაქათ გამოღუეულმა არისტომენმა განთიადისას მიადწია იქ, სადაც მისი თანამემამულენი გულ-მოკლულნი ტიროდენ და გლოვობდენ მის სიკედილს. ერთბაშათ გაისმა აღტაცებული სიხარულის კიჟინა, რომელსაც მთამა და ბარმაც ხმა მისცა:

— ჩვენი უფროსი დაგვიბრუნდა!.. საფლავმა მსხვერპლი არ მიიღო!.. არისტომენი გაცოცხლდა!

(ფრანგულიდან)



## არახნა

ან როგორ გაჩნდა თბობა.

(ოვიდიუსი)



არახნა, ერთ-ერთ სამღებროს პატრონის იდ-  
მონის ქალიშვილი, მთელს ლილიაში სახელ-  
განთქმული იყო ქსოვა-ქარგვის ზედ მიწვე-  
ნით ცოდნით. არახნას საუცხოეო ქსოვილებს  
ყველანი გაკვირებაში მოყავდა. შორეული  
ქვეყნებიდან მოდიოდენ ახალგაზდა ქალის  
ხელსაქმის სანახავათ და ყველანი გაკვირე-  
ვით შეჰყურებდენ ძვირფასს და ხელოვნუ-  
რათ ნაქარგ ნიეთებს. არახნა იმდენათ დახე-  
ლოვნებული იყო ქსოვა-ქარგვაში, რომ, ასე  
გეგონებოდათ, თვითონ ქალ ღმერთს ათინა  
პალოდას შეუსწავლებია ეს ხელობაო. ახალ-  
გაზდა ქალს ყველანი ქებითი-ქებას ასხამდენ.  
ხოლო როცა არახნა ამგვარ ქებას მაჰკრავ-  
და ხოლმე ყურს, უკმაყოფილებას აცხადებდა:

„დეე ჩამოვიდესმიწად თვით ქალ-ღმერთი ათინა პალოდა და  
გამეჯიბროს! მე არასოდეს არ ჩამოვჩები, პირველობას არ და-  
ვუთმოებ თვით პალოდა ღმერთსაც“-ო!

ათინა პალლადა ისმენდა მიწიერ მომაკედანის ამ საამაყო სიტყვებს და ძრიელად ჯაფრობდა; მას ჰსურდა დარიგებით, რჩევით ემოკმენდა თავგასულ, ამაყ ქალზე. ერთხელ პალლადამ მოხუცებულ ბერი-ქალის სახე მიიღო და არახნას ესტუმრა.

— არახნა, ასედაიწყო მოხუცმა: — ხანში შესულების რჩევა-დარიგებას უარს ნუ ჰყოფ. მოხუცებულნი ცხოვრებაში უკვე კარგათ გამოცდილნი არიან და ცუდს არას გირჩევენ. იცი, რა უნდა გითხრა: ეცადე, რომ ყველა მომაკედანს წინ წაუსწრო ქსოვა-ქარგვის ხელოვნებით, ხოლო პალლადა ღმერთს-კი ნუ ასმენ შენ ამაყ სიტყვებს, პირიქით ბოდვიც მოთხოვე, ღღემდის რაიცა-კი შეგიცოდეს, და იგი უთუოთ გაპატიებს შენ დანაშაულობას. სიბრაზით არახნამ ხელთ გააგდო საქსოვი ძაფი და გაჯაერებით შეჰყვირა მოხუცებულს:

— ვგონებ, ჰკუთხე შემცდარხარ! მე სხვისი ჰკუთით არ მცხოვრია და არც ვიცხოვრებ! რასაც ელაპარაკობ პალლადის შესახებ სრული ჰეშმარიტებაა. რათ არ უნდა მოვიდეს და გამეჯიბროს!

— აი, კიდევაც მოვედი! თქვა პალლადამ და თავისი ნამდვილი სახე მიიღო. არახნას ოთახში მომუშავე ლიდის ქალებმა ყველამ შესაფერი პატივი სცა ქალ-ღმერთს, ხოლო არახნა-კი ამჟამად იდგა და სრულ უპატივემულობას იჩენდა ღმერთისადმი. ახალგაზდა ქალი ხელობაში გამოჯიბრებას ითხოვდა ღმერთისაგან, თითქო თავის გამარჯვებაში წინაღვე დარწმუნებული იყო.

არახნა და პალლადა ჩაუჯდნენ დგომ-საეარცხელს და გააჩაღეს მუშაობა. პალლადამ მოქარგა მშვენიერზე-უმშვენიერესი ქსოვილი, რომელზედაც ფერადის ძაფებით გამოხატული იყო ათინის სიმაგრის კლდე და თვით ათინა პალლადას დაეა პოსეიდონ ღმერთთან — ათინის ქვეყნის დაპყრობის შესახებ. ქსოვილის შუა-გულას თორმეტი ღმერთი სხედან მსაჯულებათ. შუა ადგილი ზევსს დაუჭერია. პოსეიდონს თავისი სამ-თითით კლდიდან წყალი გადმოჰყავს, ხოლო პალლადა კი შუბის წვერით აწედის მიწიდან ატიკას ზეთის ხილის ხეს. მსაჯულები გამარჯვებას ათინას ულოცავენ. ქსოვილის კუთხეებში ხე-



ლოენურათ ამოფერადებულა ოთხი სურათი, რომელზედაც გამოხატულია, თუ როგორ სჯიან ღმერთები კაცთა სიამაყეს.

არახნამ იშვიათის ხელოვნებით ამოაფერადა თავას ქსოვილზე ზევსმა რომ ეეროპა მოიტაცა. ზევსმა ხარის სახე მიიღო. ღმერთთა მამამთავარი ზურგზე იკიდებს მოტაცებულ ქალს და მედგრათ მიცურავს ზღვის ზეირთებში. ტილოზე ხელოვნურათ ამოკერილი იყო ისეთი სურათებიც, რომელიც ცხადლივ ღმერთების ნაკლოვანებას ამჟღავნებდენ.

შესამჩნევის ხელოვნებით იყო მოქსოვილი არახნას დაფერადებული სურათებიც. თვით დაუძინებელ მტერსაც არა ეთქმოდა რა. არახნას ქსოვილი ათინა პალლადა ღმერთის ქსოვილს სრულიადაც არ ჩამოუფარდებოდა. ათინა პალლადა კიდევაც გაკვირებაში მოდოდა არახნას ასეთის ხელოვნებით. არახნას ქსოვილის გრეხილები ისე ხელოვნურათ იყენ ამოწყობილი ტილოზე, რომ ადვილათ გამოსაყნობი იყო არახნას ღმერთებისადმი განუსაზღვრელი ზიზღი. შენიშნა ეს თუ არა პალლადამ, დაუყონებლივ ნაფლეთ-ნაფლეთათ აქცია ეს შშეენიერი ნაქსოვი და სამჯერ-ოთხჯერ საქსოვი მაქო თავში ჩაჰკრა ახალგაზდა ქალს. არახნამ ვერ მოითმინა ესეთი შეურაცყობა და ჩამოაბა დაუყონებლივ თოკი ხეზე და თავი ჩამოიხრჩო.

ათინა პალლადას შეეცოდა ახალგაზდა ქალი, ჩამოიღო იგი ხიდან და უთხრა: „არა მსურს შენი სიკედელი. იცოცხლე, მხოლოდ ჰაერში უნდა იქმნე ჩამოკიდებული. დეე, ეს სასჯელი მიენიჭოს მთელ შენს ჩამომავლობასო“.

ქალ-ღმერთმა სასწაულმომქმედი ბალახის წვენით აპკურა არახნას გასციეებული გვამი. ახალგაზდა ქალს დაუყონებლივ თავიდან თმა გაცვივდა და იგი საზიზღარ ობობათ გარდაიქცა.

5. ეუქმისთაკელი.



# ინგლისის ჰოეტი

## გიორგი კრაბბი.



გიორგი კრაბბი დაიბადა ზღვის პირას ერთ ძველ ქალაქში, ალდბოროში, შობის წინა ღამეს. ადგილი იმ მხარეს გავერანებული და მოსაწყენი იყო. მცხოვრებლებს არ შეეძლოთ მიწის შემუშავება; მათი ხელობა იყო თევზაობა, ცარცვა-გლეჯა და ჩუმათ, უბაჟოთ, სამზღვრებიდან საქონლის შემოტანა.

გიორგი კრაბბის მამა ლონიერი, წამოსადეგი კაცი იყო და ამიტომ ყველა პატიესა სცემდა, გიორგი-კი გამხდარი, მოუხეშაეი იყო. მამას იმედი არა ჰქონდა, რომ გიორგისგან ხეირიანი კაცი გამოვიდოდა. კრაბბის შვილები მთელი დღეობით დადიოდნ ზღვის პირა, შეელოდნ მამას თევზის დაჭერაში და შენახე-ჩაბარებაში. გიორგი ყოველთვის ჩაფიქრებული დასდევდა მამას და საშელოთ არაფერში მოხერხება არ ჰქონდა, უფრო უშლიდა საქმის გაკეთებას; ამიტომაც ხშირათ გიორგის კინწის-კერით აგდებდნ. მამა მას სულოლოთ და უგუნურათ თელიდა. კიდევ ეს იყო მიზეზი, რომ ყმაწვილს არაეინ აქცევედა ყურადღებას, იმას შეეძლო თავისუფლოთ, საცა იამებოდა, იქ ეელო, ეხეტიალა და ოცნებას მისცემოდა. ამ სეირნობის დროს მან შეიყვარა და შეისწავლა თავის გავერანებული ქვეყანა. პატარა გიორგი ისეთ კუთხეებში და ადგილებში დახეტია-



ლობდა, სადაც გაუჭირებლათ არაეინ დადიოდა და იქიდან მთელი საათობით ყურს უგდებდა ზღვის შუილს და შესცქეროდა მის ზვირთებს.

ამ არე-მარეზე ყველა კარგათ იცნობდა გიორგი კრაბბს და ყველას კარი მისთვის ღია იყო. ის ესტუმრებოდა ლარობ მცხოვრებლებს, შევიდოდა იმ დანგრეულ ქოხებში, სადაც იდგენ უცხო ქვეყნიდან ჩუმათ, უბაჟოთ სავაჭროს შემომტანი ხალხი. დადიოდა მეთევზეებთან ერთათ ზღვაში სათევზაოთ. იმათგან ბევრს სხვა-და-სხვა ამბებს ტყობულობდა, ბევრი უბედურების მნახველი იყო და ყველა ამას გრძობიერ ბავშვზე დიდი გაელენა ჰქონდა; მას გულში ყველა ეს ღრმათ ებეჭდებოდა და ყველაფერს კარგათ იხსამებდა. ყმაწვილის ჩვილი გული ადვილათ ამჩნევდა ცხოვრების უხიაკობას და ხეპრე კაცების სულის ვითარებას.

ხშირათ გიორგი ოჯახშიაც ხედავდა უბედურებას: მისი უნცროსი და წყნარი და, პაწაწინა გოგონა, მთელი ოჯახს საყვარელი, ერთბაშათ ძალიან ავით გახდა და მოკვდა. მამას ის ძრიელ უყვარდა და ნაღველმა სრულიად შეიპყრო, აღარაფერს დასდევდა და თავის ნაღველს ოჯახში იქარწყლებდა იმითი, რომ დანარჩენ შეილებს ლანძღავდა და ცუდათ ექცეოდა, ცოლს დღეებს უმწარებდა და ბოლოს, როდესაც მოიქანცებოდა, აუარება არაყს სვამდა და ამ არაყის წყალობით ხომ უფრო ბრაზობდა, შფოთავდა და აუტანელი ხდებოდა. მოხუცი კრაბბი კარგა ხანს იყო ამ მდგომარეობაში, მერე დაწყენარდა, დანაღვლიანდა, აღარაფრის ხალისი აღარა ჰქონდა, მხოლოთ ხანდახან მოიგიჟიანებდა ხოლმე თავს და საოცრათ აშუთოდებოდა.

ზოგჯერ მოხუცი კრაბბი, როდესაც კაი გუნებაზე იყო გარს შემოისხამდა თავის შეილებს და უკითხავდა სახარებას, დაბადებას, ან სხვა რაიმე ჭკუისთვის სასარგებლო წიგნებს. იშოვიდა თუ არა მოხუცი ყურნალს ამოგლეჯდა იქიდან მოთხრობებს, ლექსებს, როგორც უვარგისს და შეუფერებელს სეროიზულ წიგნებში. გიორგი

ჰკრეფდა ამ ამოგლეჯილ ფურცლებს, ხალისით ეწაფებოდა და ამ გვართ შეეჩვია ყმაწვილი კითხვას. ის მეზობლებს მოსვენებას არ აძლევდა და თხოვდა საკითხავ წიგნებს. მოხუცებულებს, რომელთაც თვალთ აღარ უჭრიდათ, გიორგი ხალისით უკითხავდა წიგნებს და იმათაც ყმაწვილი ძალიან შეიყვარეს. ახალი მოხუცებული მეგობრები ხალისით უჩვენებდნენ ოჯახში შენახულ სხვა-და-სხვა წიგნებს; უამბობდნენ ძველ ამბებს, რომელთა დამსწრე თვითონ იყვნენ. ყმაწვილი ყოველისფერს ითვისებდა, იხსოვებდა, მეტადრე რაც შეეხებოდა ღარბი ხალხის ცხოვრებას, იმათ სიხარულს, ნაღველს, ჩვეულებას და მათზე ძველ თქმულებებს.

თავდა პირველათ გიორგი სწავლობდა უხვირო სკოლაში, მერე გადავიდა უფრო უკეთეს სასწავლებელში, სადაც შეისწავლა დოსტაქრობა და ექიმობა და ისე დაბრუნდა თავის დედა ქალაქში.

გიორგი კრანბი უცბათ დარჩა უმეგობროთ, უტოლ-ამხანაგოთ. სასწავლებელში მასთან მყოფნი მდიდრები იყვნენ და მას არ ეკარებოდნენ და თვითონ-კი თავის მახლობლებს და მეზობლებს ვერ უმეგობრდებოდა, რადგან სწავლით, ცოდნით იმათზე ბევრათ მაღლა იდგა. გიორგიმ მეზობლებში ამოიჩინა ერთათ ერთი მეგობარი, ისიც ქალი — ილმა, იმასთან ატარებდა უმეტეს დროს, უნდოდა მისი ცოლათ შერთვა, მაგრამ საშუალება არ ჰქონდა, ოჯახობას ჯერ ვერ მოეკიდებოდა.

გიორგი კრანბი მამასავეთ ფიცხი და კერპი იყო, დედისაგან-კი დაჰყვა გულ-ჩვილობა, მორიდება და მოკრძალება. როდესაც ყმაწვილი დროებით ჩამოვიდოდა მამასთან, მას საშინლათ აწუხებდა ოჯახის სიღარბზე და უსუფთაობა. გიორგი ყოველთვის ოცნებობდა, რომ ის თავის ოჯახს, მეტადრე, როდესაც შეირთავს ილმას, სულ სხვანაირათ მოაწყობდა. მას მუდამ იმედი ჰქონდა, რომ მოიპოვებს დიდებას, საკმაო სარჩოს და ბედნიერ ოჯახობას მოეკიდება. მაგრამ დაბრუნდა თუ არა ექიმათ თავის ქვეყანა — ქალაქ ალდბოროში,



ოცნებები გაუქრა, ახალგაზდა ექიმი საექიმოთ ავთომყოფებს არ მიჰყავდათ და სიღარიბე აღრინდელივით მას გულს უკლავდა.

თანდათან გიორგისთვის ძნელი და აუტანელი გახდა ოჯახში ცხოვრება. სიღარიბისაგან და შიშველებულობისაგან მისი მამა უფრო მძლავრი ხასიათისა შეიქმნა. დედა ბევრი ნაღვლით და ხშირი ავთომყოფობით ისე მოხუცებული იყო, რომ ქმრის მრისხანე ხასიათს ევლარაფრით იკაეებდა და ევლარც უძლებდა. ამასთანავე გიორგი არ გამოდგა კარგი ექიმი. სანამ შინ იყო — იცოდა ყველაფრის წამლობა, მაგრამ მიუახლოვდებოდა თუ არა ავთომყოფს დაიფანტებოდა, გაუბედავი ხდებოდა, დაეიწყებოდა ყველაფერი და ეს მას საშინლათ ტანჯავდა. გიორგი კრაბბმა გადაწყვიტა სამუდამოთ თავი დაენებებინა მკურნალობისთვის და აღარავისთვის არ ეწამლა. მან მოინდომა ლიტერატურული შრომით, თხზულებების წერით თავი შეენახა. ამ მიზნით განიზრახა ლონდონში წასვლა. მამა დიდხანს არ უშვებდა, მერე რომ ვერა გააწყო. რა — დათანხმდა. გიორგიმ ისესხა ოც-და-ათი მანეთი და გაუდგა გზას.

კრაბბი მივიდა თუ არა ლონდონში შეუდგა შრომას. ძველი მწერლების თხზულებებს გულმოდგინეთ კითხულობდა, ცდილობდა ლექსების შეთხზვას და ბევრს სწერდა. ბოლოს თავისი თხზულებები წაუღო დასაბეჭდათ წიგნების გამომცემლებს და ელოდა რომ იმათგან ფულს მიიღებდა, სახელსაც გაითქვამდა და სხვა სალიტერატურო სამუშაოსაც იშოვიდა. მაგრამ უმეტესი თხზულებები უკან დაუბრუნეს და ყმაწვილმა სრულებით დაჰკარგა იველი. საცხოვრებელი ფული გამოეღო, რაც რამა ჰქონდა ჰყიდდა და აგირაევებდა და ბოლოს სხვა და-სხვა დიდკაცებს დაუწყო შემწეობის თხოვნა. გიორგი კრაბბი ხშირათ მშიერი იყო ხოლმე, ამ გაჭირებულ მდგომარეობაში ყმაწვილი კაცი ხშირათ ნატრობდა — საპყრობილეში რომ ვიჯდე თავ-შესაფარი მაინც მექნებო. ამას კვირაში ერთხელ თუ მოუხდებოდა ხორცის ჭამა, ისიც კვირაობით ერთ ვაჭრის ოჯახში. არც ერთი იმისი საყვარელი ტკბილეულობა არ შეედრებოდა შემწ-

ვარ ცხერის ფეხს, რომელსაც აქ სადილზე მიუტანდნ ხოლმე. გიორგის უპატიოსნობათ შაჩნდა ფულის სესხება, როდესაც დაბრუნების იმედი არ ჰქონდა. მათხოვრობისა რცხვენოდა და არც იმედი ჰქონდა, რომ მათხოვრობით შეეძლებოდა თავის შენახვა. მაშინ მოიფიქრა, მოდი რჩევას ვკითხავ ვისმესო — ისევე ძველებურ გზას დავადგე, თუ კიდევ შეეძლებთ თავის გატანასო, მაგრამ ლონდონში ნაცნობი არაფერი ვეკულებოდა, რომ მისთვის რჩევა მიეცათ. ბოლოს ჩამოთვალა სახელები, ვინც-კი იყო იმ დროს გამოჩენილი კაცები და იფიქრა, თუ მიშველის ისევე ბორკი მიშველისო.

ბორკი იყო პატიოსანი რაინდული ხასიათის კაცი და გამოჩენილი მჭერმეტყველი, გავლენიანი სახელმწიფო კაცების მეგობარი და ამხანაგი. თითონაც სახელმწიფო რჩევაში დიდი გავლენა ჰქონდა და საზოგადოების საყვარელი იყო. გიორგი კრაბბმა გადაწყვიტა მიეწერა მისთვის წერილი და ეთხოვა რითიმე შეეღა. აი, რასა სწერდა კრაბბი: „თქვენ ისეთი სახელ-განთქმული ბრძანდებით, რომ მაპატიებთ ჩემ გაბედულ საქციელს. ერთათ ერთი თავის გასამართლე ბელი საბუთი ისა მაქვს, რომ თქვენისთანა მაღალ სულოვანი ადამიანი ადვილათ გაიგებს ჩემ მისწრაფებას. მე ერთი იმათგანი ვარ, რომელიც მიელტვის სახელოვან გზას და მისი გაგნება-კი ეძნელება, რადგან არც მეგობარი ჰყავს და არც ლუკმა პური გააჩნია ამ უცხო დიდ ქალაქში“.

ამ წერილის გაგზავნის შემდეგ კრაბბი ისეთი აღელვებული იყო, რომ გიჟივით დარბოდა მთელ ლამეს ლონდონის ქუჩებში. გიორგი კრაბბის ბედზე, ბორკის ჩვეულება ჰქონდა ყველა მიღებულ წერილებს თავისი ხელით ხსნიდა და კითხულობდა. გულ-ახლილი და ალალ-მართალი კრაბბის წერილი ამან ძალიან მოიწონა და მოიწადინა, რომ რითივე ეშველა ყმაწვილი კაცისთვის. მეორე დილას გიორგი კრაბბი მივიდა წერილის პასუხის შესატყობათ, ის ისე დაჩვეული იყო, რომ ყველა უარს ეუბნებოდა შემწეობის აღმოჩენაზე, რომ ახლაც სიკეთეს არას მოელოდა და არც გაუკვირდებოდა კინ-

წისკრითაც რომ გამოეგდოთ. ყმაწვილმა ახსენა თუ არა ხმის კანკალით თავისი სახელი და გვარი, მაშინვე მსახურებმა აიყენეს კიბეზე და შეიყვანეს ბორკის სამუშაო ოთახში. სულ არ გაუფლია ერთ წამს, რომ დაბნეული, მწყურვალ-მშიერი ყმაწვილის წინ გაჩნდა ორმოც-და-ათ წლამდის მიხწეული, მალალ-მალალი უშნო, დიდრონი სათვალეებით კაცი. ამ კაცმა გიორგი კრაბზი გვერდზე მოისვა, დაამშვიდა, გაამხნევა და დაამედა. მერე რამდენისაჲე დღის შემდეგ ბორკმა მიიპატიჟა ის თავისთან სადილათ, გააცნო თავის ცოლს და წაიკითხა კრაბზის თხზულებები.

ბორკმა ამოარჩია საუკეთესო თხზულება და თავისი ხელით მისცა დასაბეჭდათ წიგნების გამომცემელს. რამდენსაჲე ხანს შემდეგ გიორგიმ წაუღო ბორკს თავისი ახალი პოემის დასაწყისი, რომელსაც ერქვა „სოფელი“. ამ თხზულებამ ხომ უფრო აღტაცებაში მოიყვანა ბორკი, იმან მეტის მეტათ შეიყვარა გიორგი, დაიახლოვა და ყმაწვილი კაცი გააცნო ყველა მამინდელ გამოჩენილ მწერლებს. მერე თავისთან წაიყვანა საგარაკოთ, რომ უფრო მოსვენებით დავითარებინა უკვე დაწყებული პოემა. ზაფხულში ბორკს ხშირათ დაჰყავდა ყმაწვილი კაცი შორს, მიყრუებულ ადგილებში, სადაც მშვენიერი ბუნებით იყო შემკული არე-მარე. როდესაც ბორკმა შემთხვევით შეიტყო, რომ ყმაწვილმა იცის ლათინური ენა — მაშინვე დაეკითხა: გსურს თუ არა ხალხის მწყემსობა — მღვდლობაო. გიორგი კრაბზს დიდი ხანია სურვილი ჰქონდა სამსახური გაეწია ხალხისთვის, მას უყვარდა ღარიბები, დაჩაგრულები და უნდოდა მათი შეეღა და ნუგეშის ცემა. ბევრ ხანს აღარ გაუფლია, რომ ბორკმა თავის მეგობარს, ყმაწვილ პოეტს, ეპისკოპოსის შემწევობით ადგილი უშოვა.

ამაჲე დროს კრაბზმა მიიღო საჩუქრათ ექვსასი მანეთი ლორდ-კანცლერ ტიურლოსაგან. მაშინ დიდკაცებს ივეულებათ ჰქონდათ საჩუქრებს აძლევდენ მწერლებს — ლიტერატორებს.

კრაბზმა მიიღო მღვდლობა ჰერცოგ რიგლენდის მამულში და უნდა ლონდონიდან გამგზავრებულიყო. წასვლის წინეთ ჩამოუარა

ყველა თავის ნაცნობებს, ისეთსავე მოღვექსეებს და მშრომელ ლიტერატორებს, როგორც თვითონ იყო და ყველას დაურთავა ფული და ჩასწერა უბის წიგნში მათი ბინა, რომ კვლავაც შემწეობა აღმოეჩინა. ის მერეც ყოველთვის გულ-უხვათ ურიგებდა ღარიბებს მოწყალებას და არც ერთ თავის მოძმე ლიტერატორს, როდესაც თხოვდნენ, არ დაადებდა უყურადღებოთ; ადვილათ აჰყებოდა ხოლმე თავის კეთილ გულს, იფიწყებდა საკუთარ თავს, ოჯახს, ვარდებოდა ვალებში და მხოლოდ მაშინ მოისვენებდა, როდესაც დაკმაყოფილებდა ყველას. ტიურლოს ნაბობარი ფული ლონდონშივე სულ ღარიბ ნაცნობებს დაურთავა.

ბინაზე წასვლის წინეთ გიორგიმ შეიარა თავის დედა-ქალაქში ნათესაების სანახავათ. დიდი ხანი იყო, რაც ის იქ არ ყოფილიყო და ოჯახში ბევრი ცვლილება დაუხვდა. მისი დედა გადაცვლილიყო, მამის მდგომარეობა აღრინდელზე უარესი იყო. მხოლოდ მის ერთგულ საცოლეს ძველებურათ უყვარდა გიორგი. ამის მისვლის უმაღლეს მოხუცებულ კრაბზის ოჯახში ყველა ნაცნობებმა და ნათესაებმა მოიყარეს თავი. ყველა მოხარული იყო გიორგის ბედნიერებით. მოხუცებული მამის სიხარულს სამზღვარი არ ჰქონდა. შეილის ნიჭით აღტაცებულმა მამამ გაიხმო გიორგი მეორე ოთახში და იქ უჩვენა თავისი ხელით გადაწერილი შეილის პოემა.

დაბინავდა თუ არა კრაბზი ჰერცოგის მამულში, როგორც კარის ეკლესიის მღვდელს ხალხისთვის უნდა დაეროებინა ხოლმე მოწყალება, რომელსაც ჰერცოგი ისე უხვათ აძლევდა ყოველთვის. კრაბზი პირველათ გამოცდილი არ იყო და ხშირათ რომ იმისთანა პირებს აძლევდა მოწყალებას, რომელნიც ღირსეულათ არა ხმარობდნენ, მაგრამ ბოლოს თან-და-თან გამოიცადა. 1783 წელს, მისში გიორგი კრაბზს მოუტანეს ამბავი, რომ შენი თხოვლება „სოფელი“ ლონდონში ყველას ძალიან მოსწონებიაო. ჰერცოგი იმ დროს აპირებდა ლონდონში წასვლას და კრაბზიც თან გაიყოლა. ჰერცოგს ირლანდიაში დიდი ადგილი მისცეს და მას უნდოდა კრაბზიც თან წაეყვანა, ამ

დროს გიორგი კრაბბს მწერლობაში სახელი კიდევ ჰქონდა განთქმული და ადგილიც რომ აეღო ჰერცოგთან—ძალიან წინ წავიდოდა. მაგრამ კრაბბი სულ სხვა ხასიათის კაცი იყო, იმან არჩია თავის ლარიბ-ლატაკებთან, საწყლებთან ცხოვრება, მათი შველა. ჰერცოგმა ვერა გზით ვერ დააჯერა, რომ გაჰყოლოდა იქ, სადაც ყმაწვილ პოეტს მოელოდა დიდება და ხარისხიანი ადგილი. მერე, ბოლოს სიტყვა ჩამოართვა, რომ ის დადგება ახალ ჯვარ-დაწერილი ცოლით მის ციხე დარბაზში. სწორეთ იმ დროს კრაბბა შერთო იღმა.

პასტერს თავის სამრევლოში ბევრი საქმეები გამოუჩნდა და ეს საქმეები იმას ძალიან უყვარდა. ის დაუახლოვდა თავის ერს, შეიტყუო იმათი გაჭირება, შეიყვარა ისინი; რჩევით, ტკბილი სიტყვით და ფულით შეელოდა იმათ. გიორგი კრაბბი აკვირდებოდა ლარიბების ცხოვრებას და გამოცდილობით ბევრი შეიძინა. მან ახალი თხზულება დასწერა „სამრევლო სიები“ და ამით მოაგონა მკითხველ საზოგადოებას თავისი ნიჭიერი პოემატ, თუმცა ოცმა წელიწადმა გაიარა ამ ორ თხზულების გამოცემის შუა. ამას შემდეგ არ გაუფლია ბევრ ხანს, რომ კრაბბმა დასწერა „გარეთ უბანი“, მერე კიდევ სწერდა ბლომათ პოემებს და მოთხრობებს სოფლის ცხოვრებიდან.

კრაბბის ნაწერებში ის უფრო მოსწონდათ, რომ მდებო ხალხის ნამდვილი ცხოვრება იყო გამოხატული, თავიანთი ღირსებით და ნაკლით და არა ფანტაზიით გამოგანილი. მისი პოემა „სოფელი“ ასე იწყება: „ხცოვრებას ოჯახს ავიწერთ, მის ნაღველს, გაჭირებას, შრომას. უნდა გავაცნოთ მიწის მუშა, მისი ახალგაზღვრა, რა ეკლიან გზაზე დგას ის, მისი ბედნიერება და უიღბლობა, მე უნდა შევქაო ლარიბი კაცის ნამდვილი ცხოვრება, სხვათერე არ შემოძლიან კალმის აღება ხელში. „გიორგი კრაბბს მხოლოდ მართლის დაწერა შეეძლო. მან თვითონ გამოიარა ბევრი ვაი-ვაგლახი, სიღარიბე და მას ყოველთვის გარშემო ეხვია ლარიბები. „მართალია, ამბობს კრაბბი—ყველასთვის, მდიდრებისთვისაც და ლარიბ მიწის მუშაკისთვისაც, სასიამოვნოა მინდრებ-ველების და ცხერის ფარის დანახვა და ბუნების



მშენიერების აღწერის წაკითხვა, მაგრამ როდესაც იმ მინდერებ-  
ველებში დავინახავ მიწის მუშას, პაპანაქება მზეში მშრომელს, თე-  
ლიას, ოფლით გაწუწულს და მოკვამ თვალს, როგორ ზოგი მათ-  
განი, უფრო სუსტნი, ცდილობენ უკან არ ჩამოჩენ ღონიერ ამა-  
ნაგებს, განა შეიძლება ეს სურათები დაეუმალა მკითხველებს და  
ლექსები შეეთხზა, მხოლოდ ბუნების სიმშენიერებზე?“

პასტორ კრაბბის გარეგანი ცხოვრება არაფრით არ ეყო თვალ-  
საჩენი. თითქმის ორმოცმა წელიწადმა ისე გაიარა, რომ მის ცხოვ-  
რებაში ცვლილება არა მომხდარა. მოხუცებულს გვერდით ჰყავ-  
და ორი მოზრდილი ვაჟიშვილი და გარს ეხვია მრევლი, რომელთაც  
ძალიან უყვარდით თავიანთი მოძღვარი. მაგრამ მალე გიორგი კრაბბს  
მოადგა კარს უბედურობა, მოუკვდა საყვარელი ცოლი. ის მოკვდა  
ნამ წლისა ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ. კრაბბმა ველარ აი-  
ტანა მეგობარი—მეუღლის დაკარგვა და თერთონაც ძალიან ავათ  
გახდა და ძლიერ გადურჩა სიკვდილს. მართალია უკეთ შეიქნა, მა-  
გრამ ნაღველი გულს უღრღნიდა და სიცოცხლეს უნახევრებდა. შეი-  
ღლების მოვლამ და ზრუნვამ ვერ გამოაბრუნა ეს საცოდავი. ბოლოს  
მოხუცებულმა მიატოვა ყველაფერი და წაიდა იქ, სადაც ორმოცი  
წლის წინეთ ცხოვრობდა მისი საცოლვე და სადაც თვითონ შეყვარე-  
ბული დახეტიალობდა. აქ მის ფანჯრების წინ გამოიტირა თავისი საყვა-  
რელი. უზომო ტირილისგან თვალეებზე ცრემლი ჰქონდა გამშრალი. ბო-  
ლოს შეიღების ზეგწინას ველარ ეწინააღმდეგა და დაბრუნდა ისევ თავის  
ბინაზე. მაგრამ აქ ველარ იცხოვრა, ყოველი ადგილი, ყოველი კუთ-  
ხე მოაგონებდა მას დაკარგულ საყვარელ ცოლს და ისევ აღრინდე-  
ლივით მიეცა ნაღველს—ამგვარი სიცოცხლე გახდა მისთვის აუტა-  
ნელი. ძველმა მეგობრებმა რა ნახეს მისი ამგვარი მდგომარეობა  
უშოვეს სხვა ადგილას მღვდლობა. კრაბბმა მაშინვე მიატოვა თავი-  
სი სამრევლო და შეიღებით დასახლდა ახალ ბინაზე ქალაქ ტროუბ-  
რიჯში.

ახალი მრევლი გიორგი კრაბბს იცნობდა, როგორც ჰოეტს და

ქველ-მომკმედს და დიდის ამბით შეხვდა. მოხუცებულს ეს ძალიან იამა, მაგრამ ბოლოს გამოჩნდა, რომ მისი ახალი მრევლი შესცდა, ისინი სულ სხვას მოელოდნენ. იმათ ეგონათ, რომ პოეტი—პასტორი შესამჩნევ მკვერ-მეტყველობას გამოიჩინოს, როგორც ბაასში, ისეც ქადაგების დროს, რომ მრევლი ქადაგების დროს ცხარე ცრემლს დაღვრის ხოლმეო. ამასთანავე ისეთ უხვათ ვასცემს მოწყალებას, რომ ყველას აღტაცებაში მოიყვანსო. ამის მაგიერათ პასტორი იყო მუდამ ჩუმი, მოლოუშული, ცოტას ლაპარაკობდა, დანაღვლიანებული იყო ცოლის დაკარგვით; მოწყალების გაცემაშიაც ძალიან ფრთხილი. პასტორს არ უყვარდა მოწმების დასწრება, როდესაც ის სამადლო საქმეს ჩადიოდა. ხევენა-კოცნა და ტირილი არ იყო მისი ჩვეულება. როდესაც რომელიმე ოჯახს დიდი უბედურება ეწვეოდა, მაშინ სასტიკი მოხუცი ალერსით მივიდოდა მათთან და ყოველგვარ შემწევობას აღმოუჩენდა. ხშირათ მოწყალების გასაცემათ კრახში ღამ-ღამეობით დადიოდა იმისთანა ღარიბებთან, რომელთაც რცხვენოდათ თავიანთი გაჭირებული მდგომარეობისა. პირიქით მოხუცი სასტიკათ ექცეოდა იმისთანა შეუპოვრებს, უსაქმურებს, განებივრებულებს, რომელთაც უყვარდათ მეტიჩრობა. ამათ ისე არ მისცემდა მოწყალებას, რომ ზედ არ დაეყოლებინა სასტიკი დარიგება, და ამიტომაც ბევრნი უკმაყოფილობას აცხადებდნენ.

კრახში არ ზოგავდა თავის მრევლს, პირში ეუბნებოდა, რასაც ურიგოს ხედავდა. დრო მოახლოვდა, უნდა პარლამენტში გასაგზავნი კაცი ამოერჩიათ. კრახში დაიჭირა ისეთი კაცის მხარე, რომელიც არ მოსწონდათ უმეტესს ნაწილს საზოგადოებისას. არჩევნებისთვის ყველა ემზადებოდა. ყრილობა და ლაპარაკი ბევრი იყო. ყველას ვინც აპირებდა კენჭის ჩამოტარებას ჰყავდა თავისი მომხრეები და მოწინააღმდეგეები. კრახში რომ მიდიოდა არჩევნებზე ხალხი გადაელობა გზაზე და თხოვდა სხვა აერჩია და როდესაც მოძღვარი არ დათანხმდა დაუწყეს მუქარა და გინება. ამგვარ ძალ-დატანებაზე კრახში მკვახე სიტყვები უთხრა ხალხს, ძალით მიფანტ-მოფანტა ყველა-

ნი და ისევ განაგრძო გზა. არჩენის ღროს, იმის მიუხედავად, რომ ბევრი გაჯავრებულნი მოწინააღმდეგენი იქ დაესწრენ, მან თამამათ მისცა ხმა იმ კაცს, რომელიც მისი აზრით ღირსი იყო ამორჩენისა.

ბოლოს თანდათან დააფასეს გიორგი კრაბბის ღირსებანი. მას ხედავდნენ სკოლებში გარშემოხვეული მოსწავლეებით, იმათ უქადაგებდა სახარების სიტყვას. ხშირათ ღამ-ღამეობით შეხედებოდნენ მოხუცებულს, რომ ის მიდიოდა ღარიბების საშველათ. ამბობდნენ, რომ ღარიბ მოსწავლე სტუდენტებს ძალიან ეწევაო, აგრეთვე ძალიან შეელოდა საკვირაო სკოლებს და უმწეოთათვის თავ-შესაფარებს. ცოტ-ცოტა ყველამ შეიყვარა მოხუცი პასტორი. მრევლზე მას დიდი გავლენა ჰქონდა, ისინი გადასხვაფერდნენ, შეიგნეს მოძღვრის ღარიბება და დიდი პატივით ეკიდებოდნენ. თვითონ მოძღვარსაც გადაეყარა ღირსი და ნაღველი, როდესაც ნახა რომ ყველა სიყვარულით ექცევა. საერთოდ ყველგან მშვიდობიანობა და სიყვარული გამეფდა. კაცები აფასებდნენ მოძღვრის მხნეობას, ქალები კი გულს და ალერსიან საქციელს. ყველა გამეფელ-გამომეფელი დიდი მოწინააღმდეგე მას ქუდს უხდიდა. ამ სამოც და-ხუთი წლის მოხუცს მიმზიდველი შეხედულობა ჰქონდა, მის სასტიკ სახეს ხშირათ გადაჰკრავდა ალერსით საესე ღიმილი. ბამბასავით თეთრი თმები მას გრძლათ მხრებზე ეყარა. შუბლი გადაშლილი ჰქონდა. მხრებში ცოტა მოკუზული იყო, მაგრამ ღონიერათ და მაგრათ აბიჯებდა.

კრაბბმა მოინდომა მოხუცებულობაში ღონიერებაში წასვლა, ის იქ ყველამ დიდი ამბით მიიღეს—ძველ ნაცნობებმაც და იმათაც, ვისაც წაეკითხა მისი თხზულებები. დიდი ხანი იყო რაც ის იქ არ ყოფილიყო, სადაც მან ახალგაზღობაში ბევრი გაჭირებული დღეები ნახა. ახლა კრაბბი ხედავდა ახალგაზდა მწერლებს ფუფუნებაში და განცხრომაში. სად გაჰქრენ სარდაფებში მცხოვრები მწერლები? ნუ თუ ვალტერ-სკოტს აძლევდა ერთი თვის ნამუშავეარი მთელი სიცოცხლის საზრდოს? თვითონ კრაბბი თავის თავზე დარწმუნდა თუ რანაირათ აფასებდნენ ახლა მწერლების ნაწერებს, რადგან მან მიიღო



დიდი ფული თავის ნაწერებში. ამოდენა ფულის დანახვამ მოხუცებული აღტაცებაში მოიყვანა. ყველა ნაცნობები ურჩევდნენ, რომ ფული არ დაეხარჯა და სარგებლით სანდო კაცებზე გაეცა, მაგრამ ის გაიძახოდა: როგორ იქნება, უნდა სახლში წავიღო, ჩემიანებს ეუჩვენო, თორემ ისინი არ დამიჯერებენ, რომ ჩემ ნაწერებში ამოდენა ფული მივიღეო.

სიკედილის ორი თვის წინეთ კრაბბი, თუმცა თითქმის ოთხმოცი წლისა იყო — ჯანზე კიდევ ყოჩაღათ იყო, ადრინდელივით ლოცვა-წირვას არ აკლებდა თავის მრევლს და უქადაგებდა ხალხს თავისებურათ ნელი, ტკბილი ხმით, რომელიც მრევლს მუდამ იზიდავდა. მოსწავლე ყმაწვილები ჩვეულებრივ შინ და გარეთ გარს ეხეივნენ. 1832 წელს გიორგი კრაბბი უცებ გაცივდა, გახდა ავთ და კიდევ გადიცვალა. გაიგეს თუ არა მისი სიკედილი მთელ ტროუბრიჯის ქალაქში დაკეტეს ღუქნები, ძეგლისთვის დაიწყეს ფულის მოგროვება და ხალხი წყობათ გაეშურა მის დასამარხათ. დასაფლავების დღეს ხელ-ახლათ დაკეტეს ყველა ღუქნები. საყდრის გალავანი მთლათ შავათ შემოსეს. აუარება ხალხი აცილებდა მის კუბოს სამგლოვიარო გალობით. ყველა იხსენიებდა მის კეთილ გულს, მის კაი კაცობას, სამაგალითო საქციელს, რომელიც თავის მოძმეებს იხსნიდა ხოლმე სიღარიბიდან, ობლებს უწევდა მამობას, უმწეოს ფარველობდა და არ აკლებდა არავის ტკბილ სიტყვას.

კრაბბს აუკეს მარმარილოს ძეგლი, ტროუბრიჯში, რომელზედაც გამოქანდაკებულია ზედ მოხუცებული სახარებით ხელში დარი ანგელოზი თავზე ადგანან.

ან. წერეთლისა.

(თარგმანი)



## ქველი ისტორია.

(ერნესტ ლაფისისა)

საშუალო საუკუნოები.

გერმანელების შემოსევა.



გერმანელები. გერმანელები ცხოვრობდნენ იმ ქვეყანაში, რომელსაც დღეს ეწოდება გერმანია. ისინი ბარბაროსები იყვნენ, იცოდნენ მიწის დამუშავება და პირუტყვების მოშენება, მაგრამ არ იცოდნენ არც წერა არც ხატვა და არც ქალაქების მოწყობა. ცხოვრობდნენ ხის სახლებში. ძლიერ უყვარდათ ომი, და დაყოფილი პატარ-პატარა ერებათ, მულამ ერთმანეთს ეომებოდნენ. ბევრნი მიდიოდნენ სხვა ქვეყნებში ბედის საქმენათ და რომის იმპერიაში

ძარცვავდნენ ქალაქებს, მაგრამ რომის ჯარი აბრუნებდა უკან.

2) გოტების შემოსევა. გოტები, რომლებიც ორად იყოფებოდნენ: ოსტ-გოტებათ და ვესტ-გოტებათ, შეადგენდნენ უმთავრეს გერმანელ ერს. 375 წელს აზიიდან მოსულმა ბარბაროსმა—პუნებმა—გერმანელები რძულებული გახადეს დაეტოვებინათ თავისი ქვეყანა. პუ-



ნები შეესიენ რომის იმპერიას და განადგურეს გზა და გზა ყოველისფერი. პარეელში იმპერატორები ეომებოდენ მათ, შემდეგ-კი მიიღეს ისინი სამსახურში, მაგრამ ეესტ-გოტების მეფე ალარიხი აჯანყდა და დაიპყრო და გაძარცვა რომი (410 წ.). მისი შემეკიდრე მეფე დასახლდა თეისის ხალხით სამხრეთ გალიაში და ჩრდილოეთ ისპანიაში. ეს მხარე შეიქმნა ეესტ-გოტების სამეფოთ.

3) შემოსევა ბურგუნდებისა და ვანდალებისა. იმპერატორებმა ჯარები გალიიდან უკან გაიწვიეს იტალიის დასაცველათ. ამიტომ მდინარე რეინზე გასაელის დამცველათ არაიენ დარჩა; ამით ისარგებლა ორმა გერმანელმა ერმა და შევიდა გალიაში. ბურგუნდები დასახლდენ მდინარე სომას ნაპირებზე და იურას მთაზე. ეს მხარე შეიქმნა ბურგუნდების სამეფოთ და ეს სახელწოდება დარჩა დღემდე. ბურგუნდები იყენ მალალის ტანის ხალხი, საკმაოთ მშვიდნი და ქრისტეს რჯულის აღმსარებელნი. ვანდალებმა გაიარეს მთელ გალიაზე, შემდეგ ისპანიაზე და დასახლდენ ჯერ ამ ქვეყნის სამხრეთ მხარეში, რომელსაც დაერქვა ანდალუსია. შემდეგ იმათ დაიპყრეს ალპირი და ტუნისი აფრიკაში. ეს იყო ვანდალების სამეფო. ვანდალები ეელური ხალხი იყო, ყოველგან, სადაც-კი მიდიოდენ, ანადგურებდენ ძველესა და ხოცავდენ მღვდლებს. მათმა მეფობამ დიდ ხანს არ გასტანა. აღმოსავლეთის იმპერატორმა იუსტინიანემ წაართვა მათ აფრიკა 534 წელს.

4) შემოსევა ფრანკებისა. ფრანკები ცხერობდენ ბელგიაში პატარ პატარა თემებათ. იმპერატორებმა ნება-დართეს მათ, შემოსულიყვენ ამ სრულიად უდაბურ ქვეყანაში და ბევრი მათგანი სამსახურშიაც მიიღეს. ერთი თემის თავი კაცი, სლოდვიგი, ყველა ფრანგების მეფეთ გახდა და დაიპყრო მთელი გალია, რომელიც იმ დროიდან ფრანკთა სამეფოთ იწოდებოდა.

5) შემოსევა ინგლის-საქსონებისა. იმ ხანებში ინგლისს ერქვა სახელათ ბრიტანია და რომის იმპერატორების სამეფოთ ითვლებოდა. მაგრამ როცა იმპერატორებმა თავისი ჯარი გაიყვანეს იქიდან,

ადგილობრივმა მცხოვრებლებმა შოტლანდიელ მთიულებისაგან თავი ვერ დაიცვეს და მოიწვიეს საქსონები, რომელიც ისეთივე ევლურები იყვნენ, როგორიც სხვა ზემოთ დასახლებული ერები. საქსონები მოვიდნენ თავიანთი ოჯახებითურთ, დაახლდნენ სამხრეთ ინგლისში და ადგილობრივი მცხოვრებლები, რომელთაც ისინი მოიწვიეს, სულ ერთიანათ ამოწყვიტეს (455 წ.). მეორე გერმანელი ერი ანგლები მოვიდნენ დანიიდან და ასევე მოიქცენ. მეექვსე საუკუნეში მთელ მხარეში იყო ოთხი სავფო: ერთი საქსონიისა—ჩრდილოეთში და სამი ინგლისისა—სამხრეთში. იმ დროიდან ამ ქვეყანას დაერქვა ინგლისი.

6) შემოსევა ოსტ-გოტებისა და ლონგობარდებისა. ოსტ-გოტები დასახლდნენ იტალიაში 480 წ. და დააარსეს ოსტ-გოტების სამეფო. მეფე იმათი თეოდორიქსი (480—526 წ.) იყო რომაელების მეგობარი და ისე განაგებდა იტალიას, როგორც წინანდელი იმპერატორები. შემდეგ კოსტანტინეპოლის იმპერატორმა იუსტინიანემ გაგზავნა ჯარები და წაართვა იტალია (534 წ.), მაგრამ მალე გერმანელმავე ერმა, ლონგობარდებმა გადმოიარეს ალპებზე (568 წ.) და დამკვიდრდნენ მდინარე „პოს“ ვაკეზე. ამნაირათ დაფუძნდა ლონგობარდების ანუ ლომბარდიის სამეფო. ამ იტალიის პროვინციას დღესაც ლომბარდია ეწოდება.

7) შემოსევის შედეგი. სხვა-და-სხვა შემოსევა ხდებოდა ორასი წლის განმავლობაში და დიდი ცვლილებანიც გამოიწვია. შემოსევის წინეთ იყო ერთი რომის იმპერია, შემდეგ-კი გაჩნდა რამდენიმე ბარბაროსთა სამეფო. ამ სამეფოებში იყვნენ ორი ჯურის მკვიდრნი: გერმანელები, რომელნიც მოვიდნენ ჩრდილოეთიდან და უწინდელი იმპერატორების ქვეშევრდომები, რომლებსაც რომაელებს უწოდებდნენ. გერმანელები და რომაელები ცხოვრობდნენ ერთათ. გერმანელები ცოტაოდნათ გადაეჩვიენ ბარბაროსულათ ქცევას, მაგრამ მაგიერათ რომაელებში განათლებამ იკლო. ისინი აღარ აკეთებდნენ გზებს, არ აგებდნენ ძეგლებს და სწავლასაც თავი დაანებეს. მამულს სრულიად



ყოფს აღარ უგდებდენ ისე, რომ მისი უმეტესი ნაწილი ტყითა და ბუჩქებით დაიფარა.

8) ქრისტეს სარწმუნოების მიღება გერმანიისთვის. გერმანიელები მანამდე წარმართები იყვნენ, მაგრამ იმათ მაინც და მაინც მტკიცეთ არ სწამდათ თავისი სარწმუნოება. ყველამ, ვინც იმპერიაში შემოვიდა, ქრისტიანობა მიიღო; პირველში მიიღეს ქრისტიანობა გოტებმა, ვანდალებმა, ბურგონებმა და ლონგობარდებმა, მაგრამ ისინი ისე როდი ასრულებდენ ქრისტეს სარწმუნოებას, როგორც ეპისკოპოსები ასწავლიდნენ: ისინი იყვნენ არიანები, ასე ეძახდნენ იმათ, ვისაც არა სწამდათ სამება. როდესაც ლიუდოვიკე მოინათლა, ფრანკებმაც იმ თავითვე კათოლიკეთა სარწმუნოება მიიღეს (496 წ.). რადგანაც იმპერიის მცხოვრებნი ყველა კათოლიკების სარწმუნოებისანი იყვნენ, სხვებმაც ამჯობინეს ფრანკებს დამორჩილებოდნენ და არა სხვა ბარბაროსებს, აი ამისათვის ლიუდოვიკის დინასტიის მეფეები მეტათ მძლავრები შეიქნენ. იმ ხანებში ყველგან უფროსად აღიარეს რომის ეპისკოპოსი, რომელსაც შაშს უწოდებდნენ. პაპმა გრიგორიმ 597 წ. გაგზავნა ინგლისში მისსიონერები (ქრისტიანობის მქადაგებელნი), რომლებმაც მალე მოაქციეს ინგლის-საქსონლები. მერვე საუკუნის დასაწყისში პაპმა გადასწყვიტა დანარჩენ გერმანიელების მოქცევა თვით გერმანიაში და გაგზავნა იქ მისსიონერები. ამ დროს მეროვინგების დინასტიის მეფეებს თანდათან ეკარგებოდათ ძალა; მავიერთ კაროლინგების გვარის თავადები ძლიერდებოდნენ. პაპი ხშირათ თხოვდა ხოლმე შემწეობას კარლოსს, მარტელას და მის შეილებს.

9) კარლოს დიდი და დასავლეთის იმპერია. პიპინ მოკლე (ასე უწოდებდნენ, რადგანაც პატარა ტანისა იყო) კარლოსს მარტელას შეილი საფრანგეთის მეფე შეიქმნა. მისმა შეილმა კარლოს დიდმა დაიჭირა უმეტესი ნაწილი იტალიისა და, როდესაც დაამთავრა გერმანიის დაპყრობა, პაპმა აკურთხა იგი იმპერატორათ (800 წ.). მისი სახელმწიფო იწოდებოდა რომის იმპერიად, მაგრამ უწინდელს სრუ-

ლიად არა ჰგავდა. ამნაირათ დასაეღეთის ქვეყნები, რომლებიც ბარ-  
ბაროსების შემოსევამ დაჰყო და დაქსაქსა, ხელ-ახლა გაერთდა იმპე-  
რატორის ბრძანებლობის ქვეშ და გერმანია, რომელიც ძველათ  
ცალკე სამეფოს შეადგენდა, ახლა შეუერთდა იმპერიის ახალ ნაწილს.

მ ა ჯ მ ა დ ი ა ნ ე ბ ი.

1) მკვლავი. როცა გერმანელებმა დასაეღეთის იმპერია დაიჭირეს,  
არაბებმა დაიპყრეს ნაწილი აღმოსაეღეთის იმპერიისა. არაბები არა-  
სოდეს არ ყოფილან რომის იმპერიის ხელ-ქვეითნი და ქრისტიანო-  
ბაც არ მიიღეს. თითოეულ არაბთა ერს ჰყავდა თავისი ლეთაება,  
ხოლო ყველანი თაყვანსა სცემდენ შავ ქვას, რომელიც ღლესაც  
დაცულია მექაში, ოთხ-კუთხ სამლოცველში. ერთმა მექელმა არაბ-  
მა სახელათ მაჰმადმა, რომელიც უწინ აქლემების ქარავენებს ატა-  
რებდა, 610 წ. დაიწყო ახალი რჯულის ქადაგება. ის ამტკიცებდა,  
რომ ღმერთმა გამოგზავნა, როგორც წინასწარ-მეტყველი ქვეყნის  
მოსაქცევათო. ქალაქ მექის მკვიდრნი სიკვდილს უპირებდენ მას და  
იგი გაიქცა მედინაში. (622 წ.) ამ წლიდან იწყებენ მაჰმადიანები  
წელთ აღრიცხვას, როგორც ჩვენ ქრისტიანები ქრისტეს შობიდან.  
მედინაში, დასაეღეთ არაბეთში, მაჰმადმა ახალი რჯულის ქადაგება  
დაიწყო. მას ახლდენ თან ერთგული მეომრები, რომელთაც ირწმუ-  
ნეს მისი მოძღვრება და ომს უცხადებდენ ყველა იმათ, ვინც არ  
მიიღებდა მაჰმადის რჯულს. რვა წლის შემდეგ მაჰმადი დაბრუნდა  
მექაში გამარჯვებული (630 წ.). მთელმა არაბებმა მიიღეს მისი  
რჯული და შეიქმენ მისი მორჩილნი.

2) ისლამიზმი. მაჰმადის მოწაფეებმა ერთ წიგნათ შეადგინეს მი-  
სი მოძღვრება, ყორანი ე. ი. საღმრთო წიგნი მაჰმადიანებისთვის,  
როგორიც ღაბადება და სახარება ჩვენ ქრისტიანეთათვის.

აი მოკლე შინაარსი მაჰმადის რჯულისა: ღმერთია მხოლოთ  
ერთი და მაჰმადი მისი წინასწარმეტყველია. უნდა ემორჩილებოდე

იმ ბრძანებას, რომლებიც ღმერთმა მისცა მაჰმადსა და დაწერილია ყორანში. უნდა ილოცო ხუთჯერ ღღეში, უნდა განიბანო ხოლმე წყალითა ანუ ქეიშითა; გასცემდე მოწყალებასა, არ უნდა დალიო ღვინო, არაფერი ცუდი საქმე არ უნდა მოიქმედო. ეინც მორწმუნეა და კარგათ იქცევა, იმას საიქაოს ელის ყვაეილებით შემკული სამოთხე, სადაც იქნება საუკუნო განსვენება. სხეები-კი ჩაცვივიან გახურებულ ჯოჯონეთში, სადაც საუკუნოთ უნდა სენ მღუღარე წყალი. ამ რჯულს ეწოდება ისლამიზმი, ხოლო მისი აღმსარებლები არიან მუსულმანები.

3) საღ.ფეხი. მაჰმადი მოკვდა 632 წ. იმ წინამძღოლს, რომელმაც მისი ადგილი დაიკირა, ერქვა ხალიფი. არაბები მას ემორჩილებოდნენ ისე, როგორც უწინ მაჰმადს; იგი იყო სარდალიც, ხელმ.იფეც და რჯულის გამგებელიც. ოთხი პირველი ხალიფი (632—661 წ.) ცხოვრობდა ისევე არაბეთში, მექაში. იმათ ეწადათ სხვა ერებიც მაჰმადის სარწმუნოებაზე მოექციათ, მაგრამ ამიტომ ისინი მქადაგებლებს (მისიონერებს) კი არ ჰგზავნიდნენ მოსაქცევათ, როგორც ქრისტიანები, არამედ მგომართა ჯარს. არაბები დარწმუნებულნი იყვენ, რომ არა მუსულმანებთან ომით ისინი ასრულებდნენ ღვთის ბრძანებას და ამგვარ ომებს უწოდებდნენ „წმიდა საქმეს“.

4) ქვეყნების დაპყრობა მაჰმადიანებისაგან. მაჰმადიანების ჯარი რამდენიმე იყო, თითოეული სხვა და-სხვა მხრით მიდიოდა ისე, რომ მათი შეჩერება არავის შეეძლო. მაჰმადიანებს სწამდათ, რომ ეინც ამ საღმრთო ომში მოკვდებოდა, ის პირდაპირ სამოთხეში წაეიღოდა, ამისათვის იმათ არ ეშინოდათ სიკვდილისა და იბრძოდნენ, როგორც გმირები. იმათ დაიპყრეს სირია და ეგვიპტე (638—640 წ.წ.), რომლებიც აღმოსავლეთის იმპერატორს ეკუთვნოდა. დაიპყრეს აგრეთვე მთელი სპარსეთის სამეფო (642 წ.). მაშინ ხალიფები დამკვიდრდნენ ქალაქ დამასკაში, რომელიც სირიაშია (661 წ.). ამას გარდა აღმოსავლეთისაკენ დაიბორჩილეს თურქესტანი და ჩრდილოეთის მხარე ინდოეთისა, დასავლეთისკენ ტუნისი, ალჟირი და მაროკო. შემ-

დევ არაბები გავიდნენ გიბრალტარის სრუტეს და ერთის შებრძოლებით (711 წ.) დაიპყრეს მთელი ისპანია.

სალიფების სასულმწიფო გაკომული იყო მაშინ ატლანდიის ოკეანედან დაწყებული მდინარე ინდუსამდე. არც ერთი სახელმწიფო არ ყოფილა არაოდეს იმაზე დიდი.

5) არაბები (ანუ სარაცინები) ეკლავაში. არაბებმა ვერ დაიპყრეს საფრანგეთი, რადგანაც კარლოს მარტელმა შეაჩერა ისინი ჰუატიგსთან (732 წ.). შემდეგ კარლოს დიდმა განდევნა არაბები სამხრეთ საფრანგეთიდან. მაგრამ ამავე დროს იყვნენ, მომეტებულათ აფრიკაში, მაჰმადიანი ავაზაკები, რომელნიც გემებით დაცურავდნენ ხმელთა შუა ზღვაში, იპყრდნენ ქრისტიანებს და მიჰყავდათ მონებათ; ძარცვავდნენ სოფლებს იტალიისა და საფრანგეთის ნაპირებზე და იტაცებდნენ ქალებსა და ბავშვებს. იმათ დაიმორჩილეს მთელი სიცილია და სამხრეთის ნაწილი იტალიისა. ჰქონდათ მათ ციხე სიმაგრეც ხმელთა შუა ზღვის სამხრეთის ნაპირზე ქ. ნიკეას მახლობლათ.

6) არაბთა სასულმწიფოს დასემა. ხალიფების სახელმწიფომ დიდ ხანს არ გასტანა. იგი ჯერ ორათ. გაიყ ; ერთ სახელმწიფოს ეკუთვნოდა ბაღდადი, მდინარე ეფრატის მახლობლათ და მეორეს კორდოვა (ისპანიაში). შემდეგში მაჰმადიანთა სხვა სახელმწიფოებიც დაარსდნენ: ეგვიპტეში, სირიაში, ალჟირიაში, მაროკოში და სპანეთში. 1250 წელს მოვიდნენ მონგოლები და გაანადგურეს ბაღდადი. შემდგომ ამისა არაბებთა ხალიფები აღარ არსებობდნენ. მაგრამ იმ ქვეყნების მცხოვრებლები, რომლებიც არაბებმა მოაქციეს თავის რჯულზე დღესაც მაჰმადის სარწმუნოებისანი არიან. მათი რიცხვი დღეს 200 მილიონამდეა.

7) არაბთა ტვიფიზაცია (განათლება). არაბები მართო მხედრობის მიმდევარი რადი იყვნენ; უყვარდათ აგრეთვე პოეზია და მეცნიერება. მათ ხელუხლებლათ დასტოვეს ბერძნების და სპარსელების სკოლები და დაარსეს ახლები; ბაღდადში, დამასკში, კორდოვაში და სხვაგანაც, რომლებიც შემდეგში სამაგალითოთ ითვლებოდნენ. სა-



ლერწში (იტალიაში) სკოლა მთელს ევროპაში უძველესს სამკურნალოთ ითვლებოდა. არაბებმა მიჰყვეს ხელი ქიმიის შესწავლას, და აღმოაჩინეს ალკოჰოლი. ისინი აშენებდენ სასახლებსა და მეჩეთებს (სალოცაეებს), რომლებსაც განცეიფრებაში მოჰყავდა ხალხი. მათს ქალაქებს ახლო მინდერები ისე იყო შემუშავებული, როგორც ბოსტანი და სასიამოვნოთ გაჰქონდათ ღაღანი. ერთის სიტყვით საშუალო საუკუნეებში არაბები ბევრათ უფრო განათლებულნი იყვენ, ვიდრე ქრისტიანნი.

### ფეოდალისმი (ბატონ-უძობა) ევროპაში.

8) კარლოს დიდის სახელმწიფოს დანაწილება. კარლოს დიდის სახელმწიფომ ორმოც-და-ათ წლამდის ძლიეს გაატანა. 843 წელს მისმა შვილის-შვილებმა ველდენის ხელშეკრულობის ძალით გაჰყვეს სახელმწიფო სამ სამეფოთ: საფრანგეთათ, გერმანიათ და იტალიათ, ამათში არ ითვლება სხვა პატარ-პატარა სამეფოები, რომლებიც შემდეგ შედგა. პირველ ხანებში მეფეებათ იყვენ კარლოსის შთამამელობანი, შემდეგ-კი თითოეულში გამეფდა თითო ადგილობრივი გამოჩენილი გვარი. ეს მეფეები არ ითვლებოდენ ძლიერ მეფეებათ. ყოველი სამეფო იყოფოდა პატარ-პატარა პროვინციებათ და თითოეულს პროვინციას მართავდა თავადი ანუ მთავარი. ეს მთავარი ანუ თავადი სრული ბატონი იყო თავის სამთავროში, რადგანაც მეფეს არა ჰქონდა ნება მისი გადაყენებისა და როცა მთავარი ანუ თავადი მოკვდებოდა, პროვინცია რჩებოდა მის მემკვიდრეს, ვაჟიშვილს ან ქალიშვილს.

9) ბაჰანები და რაინდები. იმ ხანებში მარტო სახლი და მის გარშემო მდებარე ადგილები-კი არ შეადგენდენ სათავადოს, როგორც დღესაა. მამული სულ ცოტა ერთი სოფლის ტოლა მაინც უნდა ყოფილიყო, ხოლო ბევრს მებატონეს 20—30 სოფლის ტოლა მამულიც ჰქონდა. ამ დიდ მემამულეებს უწოდებდენ სენიორებს ანუ ბა-

წახებს. ყოველი მათგანი სრული ბატონი იყო თავის სამფლობელოში. თითოეულს გარს ეხვია თავ-თავისი შინა ყმანი და მხედრები. სახლი მისი იყო ციხე-სიმაგრე, რომელიც სასახლეთ იწოდებოდა. ბატონები და მათი მსლბელები ცხენებით დადიოდნენ, შეიარაღებულები იყვნენ შუბით და ტანთ ეცვათ აბჯარი, რომელიც იცავედა მათ დაკადვისაგან. ამგვარათ მოწყობილ ბატონებს ეწოდებოდა რაინდები. მაშინ ერთათ ერთ საპატიო საქმეთ მიაჩნდათ ომიანობა. აზნაური და ჯარის კაცი ერთი და იგივე იყო. რადგანაც ამ რაინდებს არაერთარი საქმე არა ჰქონდათ, ამიტომ დროს ერთმანეთთან ბრძოლაში ატარებდნენ.

10) ეპისკოპოსები და აბბატები. ყოველ ქალაქში ცხოვრობდა ერთი ეპისკოპოსი და ყოველ მონასტერში აბბატი, ერთიც და მეორეც დიდებულთაგანი იყო. იმ დროს მეფეებს, გრაფებს და დიდებულებს სატრაბახოთ მიაჩნდათ ძალ-მომრეობა და ხშირათ ხოცავენდნენ მეზობლებს და ნათესაებსაც-კი. მოხუცებაში ეს ეაჭბატონები სინანულს ეძლეოდნენ, დანაშაულისათვის ჯოჯოხეთში არ ამოეყოთ თავიო და სიკედილის წინ მამულებს უანდერძებდნენ ხოლმე ეპისკოპოსებს და აბბატებს და ავალებდნენ ელოცათ მათის სულისათვის. ამნაირათ ეპისკოპოსები და აბბატები შეიქმნენ დიდ მებატონეებათ. გერმანიაში ზოგიერთი ეპისკოპოსები დიდ პროვინციების (ველნისა და მაინცის) პატრონები იყვნენ, კარის კაცებზე უფრო ძლიერები.

11) გლეხები. რომის ბატონობის დროიდან გლეხები უმეტეს ნაწილათ მონებათ ითვლებოდნენ. მებატონეს შეეძლო იმათი გაყიდვა, ცემა და ხოცვაც-კი, ერთის სიტყვით ისე შეეძლო მოქცეოდა, როგორც პირუტყვეს. საშუალო საუკუნეებში გლეხებს ეძახდნენ ყმებს. ის ადგილები, რომლებსაც ყმები შეიმუშავებდნენ, არ ეკუთვნოდა მათ, ეს იყო მეფისა, კარის-კაცისა, ეპისკოპოსისა ან აბბატისა. ყმები იყვნენ მხოლოთ მოიჯარადრებათ. ყოველი ყმა შეიმუშავებდა მიწის ნაჭერს, რომლისთვის იგი ემსახურებოდა მებატონეს, შრომით, ფულით, ღვინით და შინაურის ფრინველით. მხოლოთ



მებატონეს უფლება არა ჰქონდა გლენისთვის მიწა წაერთმია და როცა გლენი მოკვდებოდა მემკვიდრეობა ამ ადგილზე მის შვილზე გადადიოდა.

ყმები ჯერ კიდევ დიდს გაჭირებაში იმყოფებოდნენ. ხშირათ მათ მეტის მეტ უდურათ ეპყრობოდნენ, ბოლოს მხოლოდ ერთი ეს იყო სანუგეშო, რომ შვილებს ვერ მოაშორებდათ მებატონე და შორს მხარეში ვერ გაჰყიდდა. ამისათვის მეთერთმეტე საუკუნეში გლენი — ყმა უკეთეს მდგომარეობაში იყო, ეიდრე რომაელების დროის გლენი მონა. მაგრამ გლენები ჯერ არ იყვნ თავისუფალნი, იმათ უნდა აესრულებინათ ყოველი ბრძანება მებატონისა. ყოველ მებატონეს ჰქაედა თითო ხარკის მომკრეფი, რომელიც ახდევინებდა ყმებს ფულებს, აჯარიმებდა და სიკვდილით დასჯასაც-კი გადაუწყვეტდა ხოლმე. ყმებს არა ჰქონდათ უფლება სხვა სოფელში გადასახლებისა.

12) მოქალაქენი. მეთე საუკუნეში ყმები ცხოვრობდნენ მხოლოდ სოფლებში. ბევრი სოფელი ისე გაიზარდა, რომ ქალაქათ გადაიქცა. მცხოვრები სათარად ამ ქალაქებს გარშემო უკეთებდნენ მიწის გალავანს და აშენებდნენ კოშკებს. აი ამგვართ გამაგრებულ ადგილს ეწოდებოდა ქალაქი, და მის მკვიდრთ მოქალაქეები,

როგორც გლენები, ისე მოქალაქეებიც თავდაპირველათ ემორჩილებოდნენ რომელიმე მებატონეს, რადგანაც მაშინ მხოლოდ რაინდები იყვნ თაესუფლები. მაგრამ მოქალაქეთა შორის იყვნ ვაჭრები და მოხელეები, რომლებიც ფულებს შოგლობდნენ. ეს უკანასკნელნი ყიდულობდნენ თაის მებატონისაგან თვით მართველობის უფლებას და მაშინ იმათი ქალაქი გადიქცეოდა ხოლმე დამოუკიდებელ საზოგადოებათ.

13) ეკრძა ფეოდალის დროს, ამ რიკათ არსებობდნენ ევროპაში: ბარონები, რაინდები, ეპისკოპოსები და აბბატები, გლენები და მოქალაქეები. აი, ამ დროს უწოდებდნენ ფეოდალურს ანუ ბატონ-ყმობის დროს. იმ დროის უმთავრესი სახელმწიფოები იყვნ: გერმანია, იტალია და საფრანგეთი. სკანდინავიის სახელმწიფოები: შვე

ცია, ნორვეგია და დანია იმ დროს დიდს არაფერს წარმოადგენდა. ჩინია, ბოჰემია, უნგრეთი და პოლონია ახლათ შენდებოდა. რუსეთი ჯერ ბარბაროსულ მდგომარეობაში იყო. ისპანიის უმეტესი ნაწილი არაბებს ეჭირა, იქ არსდებოდენ პატარ პატარა ქრისტიანთა სახელმწიფოები: პორტუგალია, კარტილია, ლეონი, ნაეარა და აზგონია, რომლებიც ებრძოდენ არაბებს.

14) ინგლისის დაპყრობა ნორმანებისაგან. იმ ხანებში შესანიშნავი მოვლენა იყო ინგლისის სამეფოს დაარსება ნორმანებისაგან. 911 წელს ჩრდილოეთ საფრანგეთში დამკვიდრდენ თავისის წინამძღოლით ნორვეგიიდან მოსული ზღვის ავაზაკები. ამ მხარეს საფრანგეთისას დაერქვა ნორმანდია. ნორმანდიის ჰერცოგი შეიქმნა ერთ უძლიერეს მფლობელათ მთელს საფრანგეთში. ნორმანდიის ჰერცოგმა, ეილჰელმა, 1066 წელს დაიჭირა ინგლისი, რომელიც ნორმანდიასთან ერთათ შეიქმნა ერთ უმთავრეს სახელმწიფოთ მთელს ევროპაში. სხვა ნორმანდელმა რაინდებმა სიცილია წაართვეს სარაციუნებს (არაბებს), დაიპყრეს ნეპოლიტანის სახელმწიფოც და შეჰქმნეს იმისაგან ორივე სიცილიის ძლიერი სამეფო.

15) გჟღენჯა საფრანგეთისა. პირველ მეფეებს კაპეტინგების დინასტიისას დიდი მნიშვნელობა არა ჰქონდათ, მისთვის რომ ჰერცოგები და გრაფები მათ არ ემორჩილებოდენ. საფრანგეთის რაინდები მთელ ევროპაში სახელგანთქმულები იყვენ. საფრანგეთის ჰერცოგები ბატონობდენ ინგლისში. ინგლისის მეფის სასახლეში ლაპარაკობდენ ფრანგულ ენაზე. ფრანგის პოეტები მე-XII და მე-XIII საუკუნეებისა ლექსებით მოუთხრობდენ ომიანობის ამბებს და სხვა ქვეყნის პოეტები მხოლოთ ბაძედენ მათ. საფრანგეთის ხუროთმოძღვრები აშენებდენ ლამაზ ტაძრებს რომაულსა და გოტიურ გეგმისას და თუ ეინმე სხვა ააშენებდა რასმეს ესეც მხოლოთ მათი მიზაძეა იყო. ამისათვის თუმცა საფრანგეთი ფეოდალურ წესწყობილებისაგან გაღარიბებული იყო, მაინც უმთავრეს სახელმწიფოთ ითვლებოდა მთელ ევროპაში.

ნ. შენგელაძე.

(შემდეგ იქნება)



ა ნ დ ა ზ ე ბ ი.

(წარმოდგენილი გიგო შატბერაშვილისაგან).

იმისთანა სიტყვა სთქერ, რომ ხვალ იმ სიტყვამ არ გაგაწითლოსო.

—  
 დღევანდელი სიტყვა ხვალის ხილიაო.

—  
 მრჩოლელს უკანიდან მოუარე და მწიხლავს წინიდანაო.

—  
 არა მწამს ქინძი ქონდრათა და მწვანე კიტრი გოგრაათა.

გ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი.

(ხეკსურეთში ჩაწერილი დ. შავლაშვილისაგან).

აეილოდა—ჩაეილოდა  
 აბუმბული რქიანიო,



აჭყეებოდა, ჩაჭყეებოდა  
გველი ბუსუსიანიო.

—

მთაზედა ჩამოწოლილა გავაზ-გავაზი გველიო,  
ჩამოხედავდა ქალასა ეგ არის ჩემი ველიო.

—

მოდგა და მოდგა ლაშქარი,  
მოდგა და მოიყარაო;  
უომრათ სისხლმა იღინა,  
უჩხუბრათ გაიყარაო.

—

უზრუმელია, მგელია,  
ცივი სამარის მთხრელია;  
ნადირს რა მოჰკლავს არა სქამს,  
ეს არის საკვირველია!

—

პირქვე დაამხაბ საესეა, გულ-აღმა ცალიერი.

—

ართემეტიკული გამოცანა.

(წამოადგენილი კ. ფრანისპირელისაგან).

30, 8, 17, 15, 20, 14, 5, 7. ამ რიცხვებში წაშალეთ ოთხი და დანარჩენ ოთხს აწვინათ მოქვეცით: სამი ერთათ შეერთეთ, ამ შეერთებულს გამოაკელით მეოთხე, რომ დარჩეს 25.

—


## შ ა რ ა დ ა.

(წარმოდგენილი კ. ფრონისპირელისგან).

პირველს ეუწოდებთ ბუჩქებსა  
 გაშენებულსა დიდათა,  
 რომელიც სრულად გამხდარა  
 ფრინველთ გზათა და ხიდათა.  
 მეორეს ჩქარას შაგიერ  
 ეხმარობთ ჩვენ ხოლმე ხშირათა;  
 ერთათ შემდგარი ხილია  
 ჭამას დაგვისევამს ძვირათა.

## უჯრების ამოცანა.


(წარმოდგენ. სათ.-აზნ. სკოლის მოწათვის ივ. ნასიძისგან).



ამ უჯრებში ჩასეთ შემდეგი  
 ასოები რომ გამოვიდეს რომელიმე  
 ანდაზა: ა, ქ, ი, ბ, ლ, მ, ე, ი, წ, ი,  
 ნ, ა, დ, ნ, კ, ე, კ, ო, ე, ზ, კ, შ  
 ა, ი, შ, ა, უ, ა, გ, ს, ი, ზ, ი, ე,  
 ს, ს.

# რ ე ბ უ ს ი

(წარმოდგენილი თბილ. სას. სასწ. მაწ. აღ. შანშიაშვილიან)

შინაული პირუტყვი    ႁ    პირველი ქალი    ს    კაფური    ი        უ

    ნ    ი    ს        ს    დარი, აედარი    ლარ    ႁ

    თხელი    შ    ოთხი    თოფის    ი  
ტალახი    ,    თუნგი    ,    წვერი    ,

